საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 181 (460) ხუთშაბათი, 17 სექტემბერი, 1992 წელი ფასი 3 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

საერთაშორისო აღიარება

სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაი" ჩაის საერთაშორისო კომიტეტის ასოცირებული წევრი გახდა. კომიტეტის შტაბ-ბინა ლონდონში მდებარეობს. ამის შესახებ დეპეშა მოვიდა კომიტეტის ხელმძღვანელობისაგან — გაერთიანების უფროსის ლენგი ხარებავას სახელზე. მას ხელს აწერს პიტერ აბელი.

●

კოლხეთის აბრეშუმი — ამერიკაში

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ინტერესებს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სან-ფრანცისკოში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე იცავდნენ ქუთაისის აბრეშუმის გაერთიანების სპეციალისტები. სტენდმა, რომელზეც წარმოდგენილი იყო კოლხური აბრეშუმი, გამოფენის მონაწილე ქვეყნების — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, იტალიის, იაპონიის, გერმანიის და სხვა სახელმწიფოების ბიზნესმენების დიდი ინტერესი გამოიწვია და აღინიშნა მაღალი ხარისხისათვის განკუთვნილი სპეციალური პრემიით. კოლხურმა აბრეშუმმა, როგორც ხელოვნურმა, ისე ნატურალურმა, განსაკუთრებული ინტერესი აღუძრა იაპონიის ფირმებს, რომლებმაც გამოთქვეს მზადყოფნა გამოუყონ გაერთიანებას კრედიტები ნედლეულის შესაძენად.

●

დააკავეს მაროდიორები

15 სექტემბერს ზუგდიდში დააკავეს ავტომანქანებით მომავალი მაროდიორების ჯგუფი, რომლებსაც ნაძარცვთან ერთად მოჰქონდათ ტყვია-წამალი.

საქმეს იძიებს ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველო.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

●

დღისით. მზისით სროლა იყო „მარჯანიშვილზე"

გუშინ, თხუთმეტ საათზე თბილისში მეტრო „მარჯანიშვილის" წინ კრემისფერი „ნივიდან" გადმოხტარმა ხუთმა ავტომატმომარჯვებულმა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ბიჭმა ცეცხლი გაუხსნა იქვე გაჩერებულ შავ „ვოლგას".

თვითმხილველნი ყვებიან, რომ სროლის დროს შეშინებული ადამიანები ტროტუარზე გაწვნენ, თავი რომ გადაერჩინათ ტყვიის წვიმისაგან. ყვებიან იმასაც, რომ სროლა დაახლოებით სამ წუთს გრძელდებოდა და შემდეგ შეიარაღებული თავდამსხმელები მარჯანიშვილის სახელობის თეატრისკენ გაიქცნენ. როგორც კი სროლა შეწყვეტილა, შავი „ვოლგიდან" ჯერ მძღოლი წამოწეულა, რომელსაც თავ-პირიდან სისხლი სდიოდა, ხოლო შემდეგ ნელ-ნელა წამომდგარა მეორე მამაკაციც, ისიც დაჭრილი.

როგორც „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტს ჩუღურეთის პოლიციის განყოფილების უფროსმა გოგი ორკოდაშვილმა უთხრა, ამ შემთხვევის შედეგად ხუთი მოქალაქე დაჭრილა, მათგან ერთ-ერთს, ასაკოვან კაცს პურის რიგში მოხვედრია შემთხვევით ტყვია.

მიმდინარეობს გამოძიება.

იზა ჯაჯვაძე.

ამ დღეებში

გვაცნობებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

საქართველოში სამშვიდობო მისიით ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დელეგაცია, რომლის მიზანია გაერკვეს აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის მიზეზებში, შემოგვთავაზოს მისი მოწესრიგების თავისი რეკომენდაციები

ზღვარზე და მის იქით

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს სხდომის ჩანაწერები, 1992 წლის 15 სექტემბერი

საბჭოს მორიგი სხდომა მუშაობას განაგრძობს. განსახილველი საკითხები ჩვენი ცხოვრების მრავალ სფეროს მოიცავს. ყველგან — მხოლოდ პრობლემები, მოუნელებელი, გადაულახავი სიძნელეები, და უკვე აღარ ვიცი, რა უფრო დიდი საშინელებაა — აფხაზეთში მამულის დასაცავად ნანატრად გაზრდილი შვილის ავაზაკის ტყვიით სიკვდილი თუ... აქ, მშვიდობიან ზონაში შიმშილით ატროფირებული გვამების მიწისთვის მიბარება. და ეს ოცდამეერთე საუკუნის ზღურბლზე...

I. ვადები იწურება, მდგომარეობა კი არ უმჯობესდება

ერთი წინადადებით ასე შეიძლება შეფასდეს სიტუაცია, რომელიც ამ დღისათვის აფხაზეთში არის. საკონტროლო კომისიის ორი შეხვედრის შედეგად ცეცხლის შეწყვეტისათვის საჭირო ყველა ღონისძიება პრაქტიკულად მიღებულია, პოზიციათა დაშორიშორების გზაზე ნაბიჯები გადაიდგა, ჩვენი გვარდიის ნაწილები განლაგებულია იქ, სადაც უნდა იყვნენ შეთანხმების მიხედვით. ცეცხლი კი არ წყდება.

სამწუხაროდ, ჩამოსულნი ზანტად ტოვებენ აქაურობას. ყველა ამ საკითხს განიხილავენ სოჭის საკონტროლო კომისიის სხდომაზე, რომელშიც ამჟამად ბატონი არძინბაც მონაწილეობს.

კვლავ არის ძარცვის, მაროდიორობის შემთხვევები — ბატონები იოსელიანი, ყარყარაშვილი და გულუა ძალ-ღონეს არ იშურებენ ამგვარი ფაქტების აღსაკვეთად, მაგრამ უმსგავსოებანი, სამწუხაროდ, მაინც ხდება. ზუგდიდის პოლიციის განყოფილებაში ამჟამად იმყოფება აფხაზეთიდან ნაძარცვი ავტომობილებით, ტყვია-წამლითა და ავეჯით დატვირთული ავტობუსით მომავალი ჯგუფი, რომელიც რაიონის ტერიტორიაზე დააკავეს. სრული ინფორმაცია ჯერ არ არის.

არ დასტურდება შვიდი ათასი ჩეჩნის აფხაზეთში გადმოსვლის ფაქტი; ისე რომ, ინფორმაციის საშუალებები უფრო ფრთხილად უნდა ეკიდებოდნენ ახალი ცნობების გადაცემას — ისედაც ნერვებდაწყვეტილ ხალხს ტყუილებით მაინც ნუღარ გავუხეთქავთ გულს.

კეთილი ნების მისიით საქართველოში ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი ბატონი ფაიზერი თავისი თანაშემწითურთ. მან ჩვენთან ერთად უნდა იმუშაოს ამ მწვავე კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ინფორმაცია გააკეთა ბატონ ელცინთან ამ უკანასკნელის ინიციატივით შემდგარი სატელეფონო საუბრის შესახებ. რუსეთის პრეზიდენტმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ მოსკოვის 3 სექტემბრის მოლაპარაკების მოთხოვნები არ სრულდება. ვადა კი ამოიწურა.

— ორივე მხარემ დავადასტურეთ ჩვენ-ჩვენი ვალდებულებები შეთანხმების უთუო შესრულების თაობაზე, — თქვა ბატონმა ედუარდმა.

აფხაზეთში პარლამენტის შეკრება ვერ ხერხდება, რადგან ის მხარე საამისოდ განწყობილი არ არის.

როდესაც საბჭოს სხდომაზე ერთ მწვავე დილემაზე მსჯელობდნენ, ჩემი თავი უცნაურ, საკუთარი თავისთვისვე მოულოდნელ არჩევანზე დავიჭირე. — ჩვენ, ეტყობა, ბოლომდე ჯერაც ვერ გაგვიცნობიერებია, რა საშინელ გზაჯვარედინზე ვდგავართ. ასე გაგრძელება შეუძლებელია. თუ არსებითი ვერაფერი ვიღონეთ, ქვეყანას მოიცავს ან სრული ქაოსი და ანარქია, ან დიქტატურაო, — ასე ითქვა სხდომაზე.

ჩემს თაობას, ომისშემდგომ დაბადებულთა თაობას, არც ერთი და არც მეორე — არც ანარქია და არც დიქტატურა პრაქტიკულად არ გამოუცდია. ჩვენი სიყმაწვილის და მოწიფულობის წლები მთლიანად შმორიანი უძრაობის ჩარჩოებში მოექცა. ერთიც და მეორეც ძირითადად წაკითხულიდან ვიცით. ანარქიაზე, ისტორიის სხვადასხვა მომენტში რომ მოუცავს ჩვენი ქვეყანა, ყურადღება იმდენად არ გაგვიმახვილებია, რამდენადაც იმ ერთ საშინელ სიტყვაზე, დიქტატურა რომ ეწოდება. ჩვენი წარსული და ეს ერთი სიტყვა ხომ განუყრელად არის დაწყვილებული... ამიტომ ჩვენთვის ყველა საშინელება სწორედ ამ სიტყვაში იყო კონცენტრირებული, ამდენად ამ მწარე ალტერნატივის წინაშე რამდენიმე წლის წინათ რომ დავეყენებინე ვინმე, დაუფიქრებლად პირველს ავირჩევდი. უფრო ზუსტად — დიქტატურაზე ხელებს გავასავსავებდი და თავისთავად არჩევანი ანარქიის სასარგებლოდ გამომივიდოდა. მაშინ არ ვიცოდი, რომ იყო სხვა, უფრო საშინელი ცნებები — ქაოსი და განუკითხაობა. დიქტატურის აპოლოგია ვინმემ რომ დამწამოს, ძალიან ცოდო ვიქნები, უბრალოდ საკუთარი თავი და ყველა ჩემნაირად, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანები მებრალებიან, რომლებიც მოსალოდნელი ანარქიის შიშით ისევ დიქტატურაზე ფიქრობენ. ვაი, ასეთსა ფიქრებსა... ერთია მხოლოდ: ასეა თუ ისე, დიქტატურა არსებობის ფორმაა მაინც, ქაოსი კი არარსებობისა. მაგრამ ავი ფიქრები იქით იყოს...

II. ჩავლილ მატარებელს...

მეორე საკითხად მეორე წაკითხვით განიხილეს „იჯარის შესახებ" დეკრეტის პროექტი. პროექტის პირველ წაკითხვაზე წარმოიშვა შენიშვნები, რის გამოც მაშინ იგი არ მიიღეს. მაგრამ ახლაც კოტე გაბაშვილი გამოვიდა კრიტიკულად, წინა სხდომაზე შემოსული წინადადებები მეორე წაკითხვისთვის გათვალისწინებული არ არისო. თქვა ისიც, რომ მისთვის მიუღებელია იჯარის შესახებ კანონი გამოსყიდვის უფლების გარეშე.

— და საერთოდ, — ითქვა სხდომაზე, — ამ საკითხის გადაწყვეტა აგრე სწრაფად არ შეიძლება, რადგან ეს გალარიბებულ-გაღატაკებული ქვეყნის გაჭირვებიდან ნელ-ნელა გამოყვანის თითქმის ერთადერთი საშუალებაა და მისი ნაუცბათევად მიღება მიზანშეწონილი ვერ იქნებაო.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ კი თქვა, სწორედ რომ მეტად საშურია ამ კანონის მიღება, რადგან ფაქტობრივად პროცესები ქვეყანაში უჩვენოდ მიდისო. ჩვენ მათ მართვას ვერ ვახერხებთ, ყველაფერი რომ დამთავრდება და მახინჯ სახეს მიიღებს ჩვენს მოსაწონ დეკრეტს ალბათ, მაშინღა გამოვუშვებთო. ვდიოთ ჩავლილ მატარებლებს.

და საერთოდაც, პოლიტიკანობაზე რომ უფრო ნაკლებ დროს ვხარჯავდეთ, ვიდრე საქმეზე, გაცილებით უკეთესი შედეგები გვექნებოდა. რით ველარ უნდა შევიგნოთ, რომ იმ ზღურბლს იქით, რომელზეც ვდგევართ, დაღუპვაა.

და ეს უკვე მერამდენედ, ამგვარი ჩივილი.

ალბათ, ჩვენი საქმე უსაგნო ქაქანი და ჩავლილი მატარებლების დევნაა მხოლოდ.

საკითხი კიდევ გადაიდო.

III. სირაქლემას კომპლექსი

არა, მარტო მე არ მჭირს ეს სენი. ამ ბოლო ხანს უფრო და უფრო ხშირად მესმის, ყურების დაცობა, თვალების დახუჭვა გვინდა, რომ აღარც არაფერი გავიგოთ, აღარც მოვისმინოთ (თავდაცვის ინსტინქტი თავისას ცდილობს, რა ქნას). სწორედ ყურების თითით დაცობა მოგინდებოდათ მესამე საკითხის განხილვის დროს, როდესაც ინფორმაცია სათნოების სახლის შესახებ გააკეთა ასოციაცია „კათარზისის" პრეზიდენტმა ზაურ ალადაშვილმა:

— თვეების წინათ მთელი საზოგადოება შეძრა ბაზრობაზე საკუთარი შვილის გასაყიდად გაყვანის ერთმა ფაქტმა. დღეს კი უკვე სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საბავშვო სახლებში გაჭირვების გამო შვილების მიბარება.

ფაქტია ისიც, რომ ყოველ კვირაში ჩვენში შიმშილით კვდება 3—4 ადამიანი. შიმშილით ატროფირებულ გვამებს ხშირად მარხავენ მუხათგვერდის სასაფლაოზე. თითოეული მათგანი 30—40 კილოგრამს თუ იწონის. ადრე ვამბობდით, ადამიანები ჩვენში შიმშილით სიკვდილის ზღვარზე არიანო. როგორც ჩანს, ზღვარს უკვე გადავცდით, იმას იქით რაღაა, ნეტავ...

თბილისში ოთხასზე მეტი კაცია აღრიცხული, რომელთაც საარსებო მინიმუმი არა აქვთ და დახმარების ხელის გაწვდა ესაჭიროებათ. აქედან 100-130-ს სათნოების სახლი უვლის. მეტის საშუალება არა აქვს. საზოგადოება ქველმოქმედების სახით ძალზე გვეხმარება.

მეტისმეტად სამწუხაროა იმგვარი ფაქტები, როდესაც გაჭირვებულს ღვიძლი შვილები ჰყავს, რომლებიც არათუ თავად არ პატრონობენ დაუძლურებულ მშობელს, არამედ სხვასაც უშლიან ამას, თავმოყვარეობა არ შეგვილახოსო. და თუ კონკრეტულ მაგალითებს არ ვასახელებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ულირს შვილთა რისხვა ისევ უმწეო მშობლებს დაატყდებათ თავს.

სახელმწიფომ გადაუდებელი ღონისძიებები უნდა განახორციელოს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ძირითადად საჭიროა ორი რამ: სასწრაფო სოციალური დახმარების სამსახურის შექმნა და უფასო სასადილოს გახსნა.

— რაგინდ მძიმედაც უნდა გამოიყურებოდეს აქ დახატული სურათი, რეალობა უფრო მკაცრი და ტრაგიკულია, — თქვა საკითხის შეჯამებისას ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. — ასეთია საბაზრო ეკონომიკის სასტიკი ბუნება. ვის ულხინს დღეს? თითოეული ტონა პურის მოპოვება სახელმწიფოს უდიდეს ძალისხმევად უჯდება. აღარას ვამბობ სხვა პროდუქტებზე.

სოციალური დაცვის და ჯანმრთელობის სამინისტროების გაერთიანება დიდი შეცდომა იყო. სოცუზრუნველყოფა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დარგია ქვეყანაში. ჩემი აზრით უნდა ფუნქციონირებდეს ცალკე სამინისტრო, რომელსაც სათავეში ჩაუდგება საყოველთაოდ პოპულარული და ნაცადი ხელმძღვანელი. უნდა შევისწავლოთ უცხო ქვეყნების გამოცდილება. ქველმოქმედება კარგია, მაგრამ მხოლოდ მის იმედად ვერ დავრჩებით.

ამ დღეებში გამოვნახავთ დროს სათნოების სახლში ადამიანებთან შეხვედრისათვის. ქმედით ღონისძიებებსაც დავსახავთ.

IV. ჩვენი „ბრონზოული ხელისუფლების" სადაგი დღეები

სხდომის ბოლოს სხვადასხვა საკითხზე ისაუბრეს, რომელთაგან მთავარი ასე შეიძლება განისაზღვროს — პრეზიდენტყოფილი, მისი გარემოცვა და საქართველო.

ქვეყანა ასეთ კატასტროფულ დღეში რომ არ იყოს, გროზნოული თათბირ-სემინარები ამდენ სისხლად და ვაებად რომ არ უჯდებოდეს საქართველოს, ჩეჩნური მოტივები ჩანტლაძის თეატრს გამოადგებოდა „საზრდოდ". მაგრამ, ვაი, რომ სიცილამდე ჯერ რა შორს არის.

— იბერვიზიის გადმოცემული „მთიელ ხალხთა კონფედერაციის კონგრესი", მისი სულისკვეთება — ეს, არც მეტი, არც ნაკლები, შეთქმულებაა საქართველოს წინააღმდეგ, — ამგვარი იყო შეფასება.

როგორც აქ ითქვა ცუდ პირობებში უხდებათ საქმიანობა ყოფილ პრეზიდენტს და მის ერთგულ ხალხს. თავად ჯოხარ დუდაევის საზაფხულო რეზიდენციაში ცხოვრობს, რომლის გარშემო ჩვიდმეტიოდე კარავია დაცემული. ერთს აწერია „ფინანსთა სამინისტრო", მეორეს — „ჯანდაცვის სამინისტრო" და ასე შემდეგ... აქვეა მინისტრთა კაბინეტი. ზოგჯერ ტელეფონი უფუჭდებათ, ზოგჯერ მიღებული გადაწყვეტილების ბოლომდე მიყვანა უჭირთ. ასეა. განა ისინი კი არიან დალხენილნი, ჩვენ რომ მხოლოდ ჩვენსას ვჩივით?!

დალხენამდე დედამიწა კიდევ რამდენჯერ შემოუვლის მზეს.

გალინა ხარებაშვილი.

ჭამა ქონებაზე ჰკიდია, ქონება — მუხლჩაუხრელ შრომაზე!

მოსავალი—92

წლევანდელი რთველი რთული იქნება

მოკლე ჩანაწერები ერთი ბჭობისა, რომელიც მრავალმხრივ არის საგულისხმო და ყურადსაღები

აფხაზეთის ბოლოდროინდელმა დრამატულმა მოვლენებმა ერთგვარად ჩრდილში მოაქცია სამეურნეო საკითხები. არადა, ვინ არ იცის, რომ მყარი ეკონომიკური საფუძვლების გარეშე, შეუძლებელია წარმატებაზე ლაპარაკი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. დღეს განსაკუთრებით საჭიროა მთელი ძალების მოხმობა ჭირნახულის უდანაკარგოდ დაბინავებისათვის. უპირველესი საზრუნავი მაინც რთველია, ყურძნის დაკრეფა-გადამუშავება. ამაზე იყო ბჭობა მევენახეობა-მეღვინეობის საწარმოო-კომერციული ფირმის „ვაჩნაძიანის" საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე. გთავაზობთ ზოგიერთი გამომსვლელის აზრს ჩვენი კომენტარითურთ.

არჩილ ბულმაგარაშვილი, ფირმის მთავარი აგრონომი: წლევანდელი რთველი რთული იქნება იმიტომაც, რომ ადრეულ წლებში დგებოდა გეგმა-გრაფიკი, თუ როდის, რომელი ნაკვეთიდან უნდა დაგვეწყო რთველი. დრო რომ მოვევგო, რა დასამალია, ნაკლებშაქრიანობასაც არ ვერიდებოდით. დღეს, როდესაც მიწის და მოსავლის პატრონი გლეხია, ყველა დაელოდება სასურველ კონდიციას და ე. წ. კრეფის პიკი, — რთველის პირველივე დღეებიდანვე დადგება. ამიტომ ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ტექნიკა გამზადებული დავახვედროთ მერთველეებს, დანარჩენი თვითონ გადაწყვიტონ — ვინ როდის გადაზიდოს მოსავალი და სხვა.

მიხეილ არუსტაშვილი, მევენახე: თუ ყურძნის ფასის მომატება მომავალშიც ასე ჩამორჩა შხამქიმიკატების და დამხმარე მასალების გაძვირების ტემპს, რაც შაჰ-აბასმა ვერ შეძლო, ის მოხდება: ხალხი გაჰკაფავს ვაზს და სხვა კულტურებს გააშენებს. ყველამ უნდა ვიფიქროთ მდგომარეობის გამოსწორებისათვის და პირველი ნაბიჯი ახლავე უნდა გადაიდგას საამისოდ — რთველის ორგანიზაციას ეხება ეს, თუ ყურძნის ფასს.

ამირან ოსიაშვილი, ფირმის მთავარი ბუღალტერი: ყურძნის თვითღირებულების დადგენა დღეს შეუძლებელია, ზოგს მეტი დაუჯდა მისი წარმოება, ზოგს — ნაკლები. ამიტომ სასურველია პროდუქცია შეთანხმებულ ფასებში მიიღონ. სხვა საკითხია, რომ გლეხს ყოველნაირად უნდა შევუწყო ხელი მოსავლის ქარხნამდე მიტანაში, ასევე დროულად, ანდა ჩაბარებისთანავე მივცეთ კუთვნილი თანხა. ამ თვალსაზრისით კარგი გამოცდილება გვაქვს და, ეტყობა, მოსახლეობის გარკვეული ნდობაც დავიმსახურეთ, რადგან შარშან ჩვენთან მოსავალი არა მხოლოდ მეზობელი, არამედ საკმაოდ მოცილებული სოფლებიდანაც შემოვიდა.

თემურ ყაჟიური, ფირმა „ვაჩნაძიანის" დირექტორი: ჩვენ მზად ვართ დავეყრდნოთ ბოლო დროს გურჯაანში ჩატარებული თათბირის რეკომენდაციას და კილოგრამ კონდიციურ რქაწითელში მწარმოებელს გადავუხადოთ თხუთმეტი მანეთი. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მეტად რთულ მდგომარეობაში გვაყენებს. დღეს პროდუქციის გამოშვება გაზრდილ ხარჯებთან არის დაკავშირებული. კვლავ გაძვირდა ენერგომატარებლები. სიძვირის გამო უკვე ჭირს ღვინის გასაღებაც. მაშ რა მოგველის მომავალში? იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მთავრობა გამონახავს გამოსავალს მოსალოდნელი ეკონომიკურ-ფინანსური ჩიხიდან, ვინაიდან სხვაგვარად მევენახეობა-მეღვინეობის ინტერესებთან ერთად შეილახება სახელმწიფო ინტერესებიც: ღვინო ხომ ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მთავარი წყაროა.

* * *

მაშ ასე: ფირმა „ვაჩნაძიანის" საბჭოს სხდომამ, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, შესაძლებლად ჩათვალა ცნობილ რეკომენდაციაზე დაყრდნობა — კილოგრამი რქაწითელის თხუთმეტ მანეთად შესყიდვის თაობაზე. ვერ ვიტყვით, რომ ეს გადაწყვეტილება ან მევენახეს, ან მეღვინეს აღაფრთოვანებს: ბევრ მევენახეს ყურძნის წარმოება 15 მანეთზე მეტი დაუჯდა. ქარხნისგან 15 მანეთად შესყიდული ყურძნის გადამუშავების შემდეგ, სააქციზო და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით ლიტრი ღვინის ფასი 78 მანეთს შეადგენს. შეძლებს კი წარმოება — ამ პროდუქციის გასაღებას?

არსებობს სხვა გზაც, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ემყარება, ე. წ. შეთანხმებული ფასი, როდესაც ფასზე მევენახესა და მეღვინეს შორის შეთანხმება ხდება უშუალოდ ჩაბარების დროს. თუ მისცემთ ხელს მოლაპარაკებით დადგენილი ფასი, ხომ კარგი, არადა ორივე თავის გზას მონახავს. მაგრამ მონახავს კი გზას ან ერთი ან მეორე? უყურძნოდ დარჩენილი ქარხანა ხომ უსაფქვავო წისქვილს დაემსგავსება აქედან გამომდინარე შორსმიმავალი შედეგებით, ანდა, რა უყოს მალფუჭებად მოსავალს გლეხმა, რომელსაც ღვინის დასაყენებელი ჭურჭელიც კი აღარა აქვს? ამიტომ, მიუხედავად წინააღმდეგობრივი ხასიათისა, ფირმის საბჭოს გადაწყვეტილება მართებულად უნდა ჩაითვალოს. და კიდევ ერთი — დღეს ქვეყანა საგანგებო მდგომარეობაშია და მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ფიქრი, ვისი მხრიდანაც უნდა იყოს ეს, საერთო საქმისადმი ზურგის შექცევას უდრის. დღეს, ალბათ, უმძიმესი ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, ზარალის თანაბარ განაწილებაზე უნდა იყოს ლაპარაკი და არა მაქსიმალურ მოგებაზე. ახლა, ბოლო დღეებში, კახეთის რაიონებში ფართო აგიტაცია გაიშალა მოთხოვნით: ყურძნის შესასყიდი ფასი გაიზარდოს 20-25 მანეთამდე. ამ მოძრაობის უკან პოლიტიკური პარტიები დგანან და მოახლოებული არჩევნები გასაგებს ხდის მათს მოქმედებას. გაუგებარია მხოლოდ ერთი რამ: არჩევნებით იწყება და მთავრდება ყველაფერი? განა წაადგება ჩვენს ეკონომიკას მევენახეობა-მეღვინეობისადმი ამგვარი კამპანიური დამოკიდებულება?

ზურაბ არსენიშვილი,

სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო").

ნომერში

⊙ როცა ვაჭრობა საბაზრო ეკონომიკაზე გადადის. 2
⊙ ესპანური გაზეთი „ნავარა ოი" წერს. 6

ნატოს დელეგაცია საქართველოში

საქართველოში იმყოფება ნატოს სამხედრო დელეგაცია მისი გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის ბატონ ქრისტოფერ დონელის მეთაურობით.

16 სექტემბერს ნატოს დელეგაცია მიიღო ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

გაიმართა ორმხრივი დიალოგი კონტაქტების გაფართოების აუცილებლობის და მათს მოსალოდნელ სასარგებლო შედეგებზე, როგორც საქართველოში, ისე მთლიანად კავკასიაში.

— მე ჰელსინკში უკვე განვაცხადე, — თქვა შეხვედრისას ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — რომ ახლანდელ პირობებში მსოფლიოსთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ნატოს ახალ მისიას, რომელიც მას ევროპაში მომხდარმა რადიკალურმა გარდაქმნებმა დააკისრა, ჩვენ ნატოს ახალ კონცეფციას მთლიანად ვიზიარებთ და ვეთანხმებით, მაგრამ ახლა მთავარია დრო არ დავკარგოთ, რათა უფრო ნათლად გამოიკვეთოს მისი როლი კონფლიქტების მოგვარებაში, რადგან ამ რეგიონულმა შიდა უთანხმოებებმა შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენოს მშვიდობას, როგორც ევროპაში, ისე მთელ მსოფლიოში.

ნატოს დიდი როლის შესრულება შეუძლია დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებული ქვეყნების სამხედრო მშენებლობის საქმეში, რადგან, ეს პროცესები ყველგან პრიმიტიულ დონეზე მიმდინარეობს და სტიქიურობის გამო ამ პროცესების მართვა გართულებულია, — განაგრძო ბატონმა ე. შევარდნაძემ, — ჩვენ ტრადიციულად კარგი ურთიერთობა გვაქვს რუსეთთან, მათს შორის, სამხედრო დარგში. ზოგიერთ სახელმწიფოთაგან განსხვავებით, არ ვაჩქარებთ რუსეთის ჯარების ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან გაყვანას. ეს ერთი მხრივ, კარგია, ხელს უწყობს ბალანსს ამ რეგიონში, მაგრამ, მეორე მხრივ, გარკვეულ სიძნელეებსაც გვიქმნის, რადგან ამ არმიისადმი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის დამოკიდებულება ნეგატიურია, — თქვა მან.

ამიტომ, რაც შეიძლება მალე უნდა გადაიდგას ნატოსთან ურთიერთობის გაფართოების ნაბიჯები. 200 წლის წინათ, შემდეგ კი ამ საუკუნის 20-იან წლებში, ქართველებმა ორჯერ მიმართეს ევროპას და ორივეჯერ მათი დახმარება არავინ ისურვა. ახლა, საბედნიეროდ, სხვა დროა, ამიტომ, მეტი იმედი გვაქვს, — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

დელეგაციის მეთაურმა ქრისტოფერ დონელმა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს გადასცა ნატოს გენერალური მდივნის, მისი აღმატებულების მანფრედ ვერნერის სალამი და საუკეთესო სურვილები.

სტუმარმა აღნიშნა, რომ მას საქმიანი შეხვედრები და საუბრები ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში, თუ როგორ უნდა გაფართოვდეს ნატოსთან საქართველოს ურთიერთობა და როგორ დაინერგოს ჩვენს ქვეყანაში ნატოს გამოცდილება.

შეხვედრის დროს დაისვა საქართველოში დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოს დაარსების საკითხი, რომელიც დასავლეთს მიაწვდის ობიექტურ ინფორმაციას ამ რეგიონიდან.

საუბარში მონაწილეობდნენ გერმანიის და ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი ელჩები საქართველოში, ბატონები გიუნტერ დალჰოფი და კენტ ბრაუნი.

15 სექტემბერს სოჭში

15 სექტემბერს სოჭში აფხაზეთის მოვლენების კონტროლისა და ინსპექციის ერთობლივი კომისია განაგრძობდა მუშაობას, რომელიც, თავიდანვე ვიტყვით, ძალზე მწვავედ და დაძაბულად მიმდინარეობდა.

კომისიის შემადგენლობა იგივე იყო. აკლდა მხოლოდ თავმჯდომარე — ბატონი თენგიზ სიგუა, რომელიც, როგორც ცნობილია, პარიზში ევროპარლამენტის სხდომაში მონაწილეობს, და „დაემატა" ვლადისლავ არძინბა, რომელიც ბოლოსდაბოლოს გამოჩნდა სოჭში.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ აფხაზეთში არ წყდება შეიარაღებული შეტაკებები, არის ფაქტები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მძიმე არტილერიისა და ავიაციის გამოყენებისა, ყაჩაღური თავდასხმის, ძარცვის და მაროდიორობისა. ამ ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა რესპუბლიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამიერკავკასიის სარკინიგზო მაგისტრალისა და სხვა სატრანსპორტო არტერიების მოდგენა. მოსკოვის შეთანხმების მიუხედავად აფხაზეთიდან არ გაჰყავთ მთიელთა კონფედერაციის უკანონო შეიარაღებული ფორმირებები. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიქმნა ერთობლივი ჰუმანიტარული კომისია, რომელიც უკვე შეუდგა კონფლიქტის ზონაში შექმნილი მდგომარეობის შესწავლას.

კომისიის სხდომამ მთელი დღის გასტანა. მისი დაწყების წინ 5 წუთი დაეთმო ჟურნალისტებს. ეს სათქმელადაც არ ეღირებოდა, ქართველი ჟურნალისტები ფაქტობრივად იზოლაციაში რომ არ აღმოვჩენილიყავით. ჩვენ მხოლოდ ერთხელ მოგვეცა შესაძლებლობა კომისიის სხდომებს შორის სახელდახელოდ გამართულ ბრიფინგზე ბატონ სანდრო კავსაძის გასაუბრებოდით:

— საქართველოში ტერორისტული აქტები მას შემდეგ გაძლიერდა, — თქვა ს. კავსაძემ — რაც იური შანიბოვმა ჯერ თბილისი, შემდეგ კი საქართველო უბედურების ზონად გამოაცხადა, ხოლო კონფედერაციის ტერიტორიაზე მყოფი ყველა ქართველი — მძევლად. ეს ტერორიზმია. მისი თავკაცნი კი ტერორისტები არიან. ამას საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანოების, მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის გამოხმაურება უნდა მოჰყვეს...

კომისიის სხდომაზე მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის შესრულებაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება აფხაზეთის საომარი მოქმედების შეწყვეტის გზაზე. მხარეებმა სამხედრო ხელმძღვანელებს დაავალეს გასცენ ბრძანებები ყველა სახის იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ. ვნახოთ.

კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ დღის წესრიგის მიხედვით პრესკონფერენცია უნდა გამართულიყო. დაძაბული მოლოდინის შემდეგ, არძინბას წინააღმდეგობის მიუხედავად, იგი შედგა, მაგრამ ქართველი ჟურნალისტების შეკითხვებზე, პროტესტის ნიშნად, არძინბამ დემონსტრატიულად დატოვა იქაურობა, გუდაუთაში მაგვიანდებაო, მოიმიზეზა.

ია კალანდარიშვილი,

სოხუმში ჩავიდა გაეროს მისია

სოხუმი, 16 სექტემბერი. (იტარ-საქდესის კორ. თ. პაჭკორია). დღეს აქ თბილისიდან სპეციალური რეისით ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისია, რომელშიც შედიან გაეროს პოლიტიკური დეპარტამენტის ევროპის განყოფილების დირექტორი გუსტავ ფაიზერი და ამავე განყოფილების თანამშრომელი ჰორსტ ჰაიდმანი.

ეს ვიზიტი შეთანხმებული იყო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბუტროს გალის სატელეფონო ლაპარაკის დროს. აფხაზეთში გაეროს წარმომადგენელთა ჩამოსვლის მიზანია შეისწავლონ ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება და ხელი შეუწყონ კონფლიქტის მოწესრიგებას.

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

„ხელფასების, სტიპენდიების, პენსიების, დახმარებისა და უმუშევრობის შემწეობათა მომატების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 9 სექტემბრის დეკრეტის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. 1992 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე (თანამდებობრივი სარგოები, განაკვეთები და სხვა) განისაზღვროს თვეში 850 მანეთით. შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონეში არ გაითვალისწინება დანამატები, წანამატები, პრემიები და სხვა წამახალისებელი გასაცემლები.

2. ბიუჯეტზე არსებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მინიმალური თანამდებობრივი სარგოებისა და განაკვეთების 850 მანეთამდე გაზრდასთან დაკავშირებით 1992 წლის 1 ოქტომბრიდან მოქმედი თანამდებობრივი სარგოები და განაკვეთები გაიზარდოს 30 პროცენტით. ამავე ოდენობით გაიზარდოს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგში დასაქმებულ მუშაკთა შრომის საათობრივი ანაზღაურების განაკვეთები სასწავლო მეცადინეობის ჩატარებისათვის.

დაწესდეს მინიმალური საათობრივი სატარიფო განაკვეთი:

ა) 41-საათიანი სამუშაო კვირის პირობებში — 4,91 მანეთი;

ბ) 36-საათიანი სამუშაო კვირის პირობებში — 5,58 მანეთი;

გ) 30-საათიანი სამუშაო კვირის პირობებში — 6,70 მანეთი.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან შეთანხმების შემდეგ წარმოადგინოს სათანადო წინადადებანი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების შესახებ.

3. დაწესდეს, რომ მუშათა, მოსამსახურეთა და დაბეგვრის მხრივ მათთან გათანაბრებულ მოქალაქეთა ხელფასი და სხვადასხვა შემოსავლები თვეში 850 მანეთამდე ოდენობით, რაც მიღებულია მათ ძირითად სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილზე, არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

4. 1992 წლის 1 ოქტომბრიდან:

— განისაზღვროს სტუდენტთა და მოსწავლეთა სტიპენდიების ოდენობა თვეში თანამდებობრივი სარგოების (განაკვეთების მინიმალური დონის (850 მანეთი) მიმართ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში; ფრიადოსანი სტუდენტებისათვის — 80 პროცენტის, ხოლო კარგი ან კარგი და ფრიადი შეფასების მქონე სტუდენტებისათვის — 75 პროცენტის, ხოლო აკადემიური მოსწრების მქონე დანარჩენი სტუდენტებისათვის — 70 პროცენტის ოდენობით, შესაბამისად სახელმწიფო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 70, 65 და 60 პროცენტი, ხოლო სახელმწიფო პროფსასწავლებლებში — 60, 55 და 50 პროცენტი;

— სტუდენტთა ყველა სხვა კატეგორიისა და ასპირანტთა სტიპენდიები გაიზარდოს 30 პროცენტით;

— დოქტორანტებს სახელმწიფო სტიპენდია ეძლევათ დოქტორანტურაში ჩარიცხვამდე დანიშნული თანამდებობრივი სარგოს (განაკვეთის) ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს უფროსი მეცნიერ მუშაკის თანამდებობრივი განაკვეთისა (სარგოსი).

5. მოხუცებულობის პენსიონერთა, I და II ჯგუფის ინვალიდთა (მათ შორის ბავშვობიდან I და II ჯგუფის ინვალიდთა). 16 წლამდე ინვალიდ ბავშვთა სოციალური პენსიები, წელთა ნამსახურობისა და ყოფილი პერსონალური პენსიები, მარჩენალის დაკარგვის გამო, ყველა სახის III ჯგუფის ინვალიდებისა და სოციალური პენსიები გაიზარდოს 165 მანეთით.

აღნიშნული პუნქტი ვრცელდება მხოლოდ არამომუშავე პენსიონერებზე.

6. ყველა მომუშავე (მათ შორის ვადიანი ხელშეკრულებით) პენსიონერს, თანამდებობის მიუხედავად, პენსია ხელფასთან (შემოსავალთან) ერთად მიეცეს სრულად. თუ ხელფასმა (შემოსავალმა) და პენსიამ არ გადააჭარბა 3400 მანეთს, თუ ხელფასი (შემოსავალი) და პენსია აღემატება აღნიშნულ თანხას (3400 მანეთს) პენსია შემცირდეს შესაბამისად. ეს წესი არ გავრცელდება ომის ინვალიდებზე, ომის მონაწილეებზე, მათთან გათანაბრებულ პირებსა და შეღავათიანი პირობებით საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული I სიით დანიშნული პენსიის მიმღებებზე.

ამასთან სამამულო ომის მონაწილეებზე პენსიისა და ხელფასის სრულად გაცემის წესი გავრცელდეს მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან.

7. დაწესდეს ბავშვიანი ოჯახებისთვის დახმარების შემდეგი ოდენობანი:

ა) ბავშვის დაბადებისას ერთდროული დახმარება — მინიმალური ხელფასის ოდენობით (850);

ბ) 1,5 წლამდე ბავშვის მოვლისათვის ყოველთვიური დახმარება — მინიმალური ხელფასის 60 პროცენტი (510 მანეთი);

გ) 1,5-დან 6 წლამდე ბავშვის მოვლისათვის ყოველთვიური დახმარება — მინიმალური ხელფასის 50 პროცენტი (425 მანეთი);

დ) მარტოხელა დედებისა და ალიმენტის ურჩი გადამხდელი მშობლების ბავშვებისთვის ყოველთვიური დახმარება — მინიმალური ხელფასის 50 პროცენტი (425 მანეთი).

8. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებულ სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი რესპუბლიკური ფონდისა და საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებული დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექციებს შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი ფონდის შემოსავალსა და ხარჯებში.

9. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ გააძლიეროს მუშაობა და უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი სახსრების სრულად ამოღება.

10. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა (საკუთრების ფორმების მიუხედავად) შეუფერხებლად გადარიცხონ ბიუჯეტის, სოციალური უზრუნველყოფის და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი რესპუბლიკური ფონდისა და დასაქმების ფონდის კუთვნილი სახსრები.

11. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით 1992 წლის 1 ოქტომბრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 14 ივლისის № 725 დადგენილება, გარდა მე-5 და მე-14 პუნქტებისა; მე-14 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: მე-6 და მე-7 პუნქტები".

1992 წლის 17 აპრილის № 441 დადგენილების მე-6 და მე-7 პუნქტების მოქმედება ძალაში შევიდეს 1 აგვისტოდან.

12. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს რადიოტელევიზიით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

თ. სიგუა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი

გ. ბერიძე.

ვაჭრობა საბაზრო ეკონომიკაზე გადადის

ჩვენი ნოლამდე დასული ეკონომიკის პირობებში, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილის აშკარა სილატაკის გამო ყოველ წუთს მოსალოდნელია სოციალური აფეთქება, ეკონომიკური რეფორმების განხორციელება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, მაგრამ დაყოვნებაც აღარ შეიძლება: სახელმწიფო სტრუქტურები მოშლილია, კომერცია კი ჩვენში ჯერ შორსაა პატიოსანი ბიზნესისაგან.

ვაჭრობისა და მომსახურების საკითხებში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მთავარ სახელმწიფო მრჩეველთან ანზორ ბაბუხადიასთან, საქინფორმის კორესპონდენტის საუბარი სწორედ დღევანდელობის ამ პრობლემებს ეხება.

— ბატონო ანზორ, თქვენ ადრეც არაერთხელ გამოგითქვამთ მოსაზრება ვაჭრობის დარგში პრივატიზაციის საკითხზე. მაგრამ, მოგეხსენებათ, ვითარება ყოველდღიურად იცვლება და თქვენს მოსაზრებასაც ხომ არ განუცდია შესაბამისად ცვლილება?

— მე ისევ და ისევ მომხრე ვარ რაც შეიძლება სასწრაფოდ გადავიდეს ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები საბაზრო ეკონომიკაზე, ე. ი. მიენიჭოთ მათ მაქსიმალური დამოუკიდებლობა და რაც შეიძლება გამარტივდეს სახელმწიფოსთან მათი დამოკიდებულების ფორმა. რაც შეეხება პრივატიზაციის დაჩქარებას, ამ ეტაპზე წინააღმდეგი ვარ თვით შენობების გაყიდვის. რატომ? იმიტომ, რომ დღეს ჩვენი ფული აღარ ფულობს და მეორეც — საკითხავია, ვის ხელშია დღეს ფული...

გარდა ამისა, შენობის გაყიდვის წინააღმდეგი იმიტომაც ვარ, რომ უმართავი არ გახდეს თუნდაც ზოგიერთი მათგანის პროფილის შენარჩუნების პროცესი. რა მაქვს მხედველობაში? ის, რომ პურის მაღაზია ან დიეტური სასადილო ერთ დღეს არ მოგვევლინოს რაიმე „სამქროდ" ან მეტი მოგების მომტან ობიექტად. ჩამოყალიბებულ ინფრასტრუქტურას შენარჩუნება ან სრულყოფა სჭირდება და არა დანგრევა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გაყიდული შენობა პრობლემად გაუხდება ქალაქის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით კაპიტალისტური ქვეყნების უმრავლესობაში იშვიათი გამონაკლისის გარდა მაღაზიების შენობები კვლავ მუნიციპალური საკუთრებაა.

— გასაგებია, რომ გაწუხებთ ის გარემოება, თუ ვის ხელშია ფული. აქედან გამომდინარე, როგორი უნდა იყოს თქვენს დარგში, მეტადრე პრივატიზაციის სასტარტო ეტაპზე, საკუთრების ფორმა — ერთპიროვნული (ე. ი. იმისი, ვისაც ფული აქვს) თუ კოლექტიური (ე. ი. იმისიც, ვისაც ფული არ აქვს)?

— სასტარტო პირობები თანაბარი უნდა იყოს, მაგრამ უპირატესობა უნდა მიენიჭოს შრომით კოლექტივს.

— მოგეხსენებათ, რომ საზოგადოებაში არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებები კოოპერატიული საკომისიო მაღაზიების თაობაზე. როგორია თქვენი პოზიცია?

— მთავარი ის არის, რომ ასეთი მაღაზიების მიმართ საზოგადოებრივი აზრი ძალზე უარყოფითია. თუ პირდაპირ ვიტყვით, ხალხი აღშფოთებულია. მიმაჩნია, რომ ამ საკითხზე სათანადო ორგანოების რეაგირება ჭიანურდება. მხედველობაში მაქვს არა მათი გაუქმება ან გახსნის აკრძალვა, არამედ ის, რომ ამ ჭრელში დამყარდეს ელემენტარული წესრიგი. კერძოდ, კატეგორიულად უნდა აიკრძალოს სამამულო წარმოებისა და სახელმწიფო არხებით შემოზიდული იმპორტული საქონლის გაყიდვა საპრეისკურანტო ფასებზე ძვირად ანუ არ დავუშვათ ლეგალური სპეკულაცია. უნდა დამუშავდეს სათანადო საკანონმდებლო აქტები და დაწესდეს ეფექტიანი კონტროლი მათ რეალიზაციაზე.

შეიძლება შემომედავონ, რომ ყოველგვარი შეზღუდვა და კონტროლი არ შეესაბამება საბაზრო ეკონომიკას, მაგრამ ვიმეორებ, რომ საბაზრო ეკონომიკა არ ნიშნავს „ბაზარს" ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში ხდება გარკვეული ჯგუფის საქონელზე ფასების რეგულირება და სახელმწიფო შესაბამისი სტრუქტურებით მართავს ძირითად პროცესებს.

— თუკი ავკრძალავთ ზოგიერთი სახის საქონლის (რომელსაც სახელმწიფო ამზადებს) გაყიდვას ბაზრობებსა და კომერციულ მაღაზიებში, ხომ არ იქნება იმის საშიშროება, რომ ეს საქონელი მაინც დახლქვეშიდან გაიყიდება და თანაც უფრო ძვირად?

— არ არის გამორიცხული, რომ გარკვეულ ნეგატიურ მოვლენებს ექნეს ადგილი, მაგრამ ამას მასობრივი ხასიათი არ მიეცემა. მოსახლეობამ უნდა იგრძნოს, რომ მთავრობა მათი სოციალური დაცვისათვის ზრუნავს.

— რა გზით ხვდება ჰუმანიტარული დახმარება საკომისიო მაღაზიებში?

— ფაქტი უეჭველია, მაგრამ კონკრეტულად ამას როგორ ახერხებენ, ჩემთვის ნამდვილად უცნობია. ჩემი აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ ამ სერიოზული საქმისათვის შესაბამისმა სამსახურებმა, სამწუხაროდ, ვერ ან არ მოიცალეს.

— და ბოლოს, შეკითხვა დარგის მართვის სტრატეგიული მიმართულებით: რეფორმიდან გამომდინარე ახალ მმართველობით სტრუქტურებში რა როლი განეკუთვნება ვაჭრობის სამინისტროს და თბილისის საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოებს ცალ-ცალკე?

— რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ რეალურად შეაფასა შექმნილი სიტუაცია და სწორედ მისი ინიციატივით მთავრობამ ახლახან მიიღო დადგენილება ვაჭრობის სამინისტროს ახალი დებულების შესახებ. ვფიქრობ, რომ ამ დებულებამ სწორად და რეალურად განსაზღვრა სამინისტროს მომავალი ადგილი, როლი და ფუნქციები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მოკლედ რომ ვთქვა, სამინისტრო ძველი განმკარგულებელი, ე. წ. ზემდგომი ორგანოდან თანდათანობით გადაიქცევა ამ დარგის მაკოორდინირებელ და მის სტრუქტურაში დარჩენილ ორგანიზაციათა საქმიან პარტნიორად. სამინისტროს სტრუქტურის ცვლილება, ბუნებრივია, გამოიწვევს მის დაქვემდებარებაში შემავალი ორგანიზაციების სტრუქტურის რადიკალურ ცვლილებას. ეს მარტო სურვილი კი არ არის, არამედ სათანადო ნორმატიული აქტებით უზრუნველყოფილი რეალური ხვალინდელი დღეა. მხედველობაში მაქვს, უპირველეს ყოვლისა, დემონოპოლიზაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.

რაც შეეხება, მაგალითად, ქ. თბილისის საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოებს, დღევანდელი სახით მათ შენარჩუნებას აზრი აღარ ექნება. თბილისში ვაჭრობის დარგის გარკვეული კოორდინაციის მიზნით მოქმედი სტრუქტურების ნაცვლად გამართლებული იქნება ქალაქის მერიის დაქვემდებარებაში მართვის გარკვეული ფუნქციონალური რგოლის შექმნა.

რეპორტაჟი სოხუმიდან

ცეცხლი და იმედი

3. დაფიქრებული „ავღანელები"

9 სექტემბერი, სოხუმი. გამოდარების იმედი საბოლოოდ ქრება. სინოპის კულუარებში ერთადერთ საკითხზე ბჭობენ — ბუნების მიერ შექმნილ ამ წინააღმდეგობას კვლავ გამოიყენებენ თუ არა აფხაზები და რუსები ჩამოუსვლელობის საბაბად დღეს.

გადაწყვეტით ვერავინ ვერაფერს ამბობს.

მაშ, წავიდეთ იქ, სადაც უკვე აქვთ ჩამოყალიბებული აზრი იმაზე, რაც ცეცხლის ხაზზე ხდება, სადაც ორივე მხრიდან ისვრიან, სადაც ორივე მხარეს იღუპებიან, წავიდეთ „სიკვდილის ხეობაში".

ქართველ „ავღანელებს" ამ დილით, პოზიციაზე გასვლის წინ ნოდარ გიორგაძე უნდა შეხვდეს. გავყვეთ „ავღანელებთან" განუყრელ მარკ რივკინთან, პოპულარულ ტელეკომენტატორთან ერთად. მარკი გუშინ უკვე იყო ცეცხლის ხაზზე, დღეს ისევ მიდის. სამხედრო ფორმა აცვია, უჩვეულოა, მაგრამ უხდება.

გამონახავენ მაინც დროს „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტთან სასაუბროდ, გულახდილი საუბრისთვის, რომლის დევიზი იქნება — სათქმელი, უნდა ითქვას.

„ავღანელები", მართლაც, ერთსულ და ერთხორც არიან. ამჯერადაც გამოიკვეთა მათი საერთო დამოკიდებულება აფხაზეთის კონფლიქტისადმი, — კოლექტიური პორტრეტი, პიროვნებათა ორიგინალური შტრიხებით დაწერილი.

საუბარში მონაწილეობდნენ — ნოდარ გიორგაძე, ავღანეთის ომის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე ნიკოლოზ სტეფნაძე, ვაჟა ბანეთიშვილი, ბესიკ ბერიანიძე, იოსებ გჭრაყანიძე, გურამ ჯანიაშვილი. თანდათან შემოუჯარდებიან სხვებიც, მერე სურათის გადაღებას ვთხოვ, ყველას. არ დაგვზარდება ბადრი ვადაჭკორია, გადაიღებს და დღეს ვაქვეყნებთ კიდეც.

— რატომ ჩამოვედით აფხაზეთში? ჩვენი მიწა-წყალი — საქართველოს ტერიტორია რომ დავიცვათ, არ შემოვუშვათ ბანდები ჩრდილოეთ კავკასიიდან. საქართველოში მშვიდობა უნდა დამყარდეს, სტაბილური მშვიდობა.

— ბევრისგან განსხვავებით, თქვენ იცით რა არის ომი, რას ნიშნავს სიკვდილი, განგიცდიათ, გადაგიტანიათ. თქვენთვის წამოსვლა ომში, ალბათ, შეუდარებლად ძნელია იმათგან განსხვავებით, ვისაც პირველად უწევს ნამდვილი სროლის გაგონება.

— ჩვენმა ბიჭებმა მართლაც იციან რა არის ომი და მართლაც არ გვინდა, რომ იყოს სისხლისღვრა. წამოვედით, რომ ნორმალური ცხოვრება აღდგეს. შვიდ დღეს ვიდექით ეშერაში და იმდენ ხანს ვიქნებით, სანამ მშვიდობა არ დამყარდება.

— ეშერა ურთულესი უბანია, ამბობენ.

— რა თქმა უნდა. დაძაბულობა ძალიან დიდია. რასაკვირველია, გვესვრიან. 70 — 100 მეტრიდან. აქვთ რადიომართვადი ჭურვები, რომლებიც ჰაერში ფეთქდება და ზევიდან აზიანებს მეომრებს. ჩვენ კი ავუღეთ ალღო, როგორც ხედავთ, ყველანი კარგადა ვართ, მაგრამ მაინც საშიშია და ყოველ წუთს ფრთხილად უნდა იყო.

— თანამედროვე იარაღია?

— დიახ, ყველა მიხვდება, ვისი არსენალიდანაა და ასე ვინ შეაიარაღა მოწინააღმდეგე. 3 სექტემბრის ხელშეკრულების მერე ჩვენი მხრიდან მთელი დღის მანძილზე არავის უსვრია. ისევ იმათ დაარღვიეს და არ გვეპასუხა, არ შეიძლებოდა, იძულებული გავხდით.

— შეტევაზე ხომ არ გადასულხართ?

— ჩვენ? არა. იმათ ორჯერ შემოგვიტიეს და ორჯერვე ისეთი პასუხი მიიღეს, როგორიც საჭირო იყო.

— ვინ შემოგიტიათ — აფხაზებმა, ჩეჩნებმა?

— აქედან გარჩევა შეუძლებელია. ვერ გეტყვით.

— რაკი ჩრდილოკავკასიელებზე ჩამოვარდა სიტყვა, უნდა გითხრათ, რომ ხშირად პრესაში მათ შეცდომით მოხალისეებს უწოდებენ, სინამდვილეში კი დაქირავებული პროფესიონალები არიან, მკვლელები, და როგორც მკვლელებს და ყაჩაღებს, ისე უნდა მოექცეს ყველა.

— მოხალისეობის პრობლემაც სალაპარაკოა. ჩვენებზე მოგახსენებთ. მოხალისეებისგან განსხვავებით, ჩვენ, რასაკვირველია, მეტი გამოცდილება გვაქვს. ბრძოლის გამოცდილებაზე მოგახსენებთ, თორემ პატრიოტიზმში შეჯიბრი უაზრობაა. ზოგიერთს ვესაუბრეთ და, იარაღი პირველად გვიჭირავსო. ორი თვე მაინც სჭირდება ელემენტარულ მომზადებას, სროლის ხმას მაინც რომ შეეჩვიონ.

პატარა ბიჭებზეა ლაპარაკი, ახალწვეულებზე. მათი სრული გამოუცდელობაა ძირითადად მსხვერპლის მიზეზი. მაგრამ არწამოყვანაც შეცდომა იქნებოდა: ხვალინდელ საქართველოს გამოწრთობილი დამცველები სჭირდება.

— გამოცდილება — კი. მაგრამ ავღანეთის და აქაურ ომს შორის, ალბათ, არის განსხვავება?

— არის, ცხადია, საკუთარ მიწაზე ბრძოლა უფრო ძნელია. მაგრამ გმირობაც ეს არის — სამშობლოს დაცვა, საკუთარი ხალხის დაცვა. ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ჯარის დიდი კონტიგენტის იქ ყოფნის მიუხედავად ისეც ხდებოდა, რომ გარკვეული უპირატესობა მაინც ავღანელებს ჰქონდათ. ბევრი ფაქტორი მოქმედებდა სამისოდ. აქ კი მოწინააღმდეგის უპირატესობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ერთი ჭკვიანური რეიდი და, მიუხედავად იმისა, რომ აგერ, გუმისთაზე უკეთესი პოზიცია უკავიათ და გათოფილი აქვთ ყველაფერი, მათგან აღარაფერი დარჩება.

ისიც სათქმელია, რომ წინა ხაზს საერთოდ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. რამდენიმე საცეცხლე წერტილი დავაფიქსირეთ, მაგრამ არტილერიით რატომღაც არ მოხერხდა მათი განადგურება.

ზუსტად არ „ამუშავებენ": სხვა მიმართულებით უფრო უტევს დიდი კალიბრის არტილერია. შეუთანხმებლობის შემთხვევებიც არის.

— ჯარისკაცის კრიტიკული პოზიცია საქვეყნოდ ცნობილია. ჩანს, ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება.

— გარემოებაა ამის მიზეზი და არა ჯარისკაცი. აი, იტყვიან, დღეს უნდა შევუტიოთო. იცდი, არ ვუტევთ, ისევ იცდი. იძახები, იძახები, იღლები და მაინც არ ვუტევთ. გადაიდო. რატომ? რისთვის? დიდი ფსიქიკური სტრესია.

თავიდან რომ შემოვედით, მე რომ მკითხოთ, არ უნდა გავჩერებულიყავით. მაშინ მსხვერპლიც ნაკლები იქნებოდა და, ალბათ, აქამდე ყველაფერი გაირკვეოდა.

— მაგრამ ახლა ხომ მშვიდობისკენ მივდივართ: მოსკოვის ხელშეკრულება ფაქტია, კომისიის სხდომაც უნდა გაიმართოს. ცეცხლი უნდა შეწყდეს.

— სწორედ იმ დღეს დაგვიჭრეს ერთი ავღანელი, მოსკოვის ხელშეკრულებით ცეცხლი შეწყვეტილი რომ იყო.

მართალი გითხრათ, ეს მოლაპარაკება მხოლოდ ერთი ეტაპია, მგონი, მომავლისთვის გამიზნული. ახლა იმ შედეგს არ მოგვცემს, რომელიც გათვალისწინებულია დოკუმენტებში. ამას მეორე ეტაპი უნდა მოჰყვეს, ალბათ, — მესამეც, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა წავიწიოთ მშვიდობისკენ. მაგრამ თუ ამანაც შედეგი არ მოგვცა, უკვე ვერავინ ვერაფერს დაგვაბრალებს (ჩვენ ხომ ყველაფერი ვიღონეთ მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოსაგვარებლად) და უკიდურესი მოქმედების უფლებაც გვექნება.

— ხომ უნდა დამთავრდეს ეს ყველაფერი, რეალურ დამთავრებაზე ვლაპარაკობ. როგორ, რა გზით?

— როგორ და, უნდა შეწყდეს ჩეჩნებისა და ადიღელების შემოსვლა, და ყველამ თავისი საქმეს უნდა მიხედოს... თუ ლაპარაკია, ლაპარაკი იყოს. ქუჩუცას ხალხი, 15 კაცი უაზროდ დაიღუპა ეშერაში. დანაღმული იყო ხიდი. ერთი ტანკი აფეთქდა, მეორე აფეთქდა, სკოლასთან მიუშვეს, ალყაში მოაქციეს. ასე ხომ არ შეიძლება? ხომ უნდა მუშაობდეს დაზვერვა... იარაღი კი მიჭირავს, მაგრამ კაცურად უნდა მოვიქცე. ჩემი მიზანი არ არის, რომ აუცილებლად ვისროლო. ჩვენ აქ ყველას მშვიდობა გვინდა.

ძირითადი მასა დახოცილების, დაჭრილების, ტყვეების ჩრდილოეთიდან ჩამოსულები არიან. კონტი-კუნტად თუ გვხვდება აფხაზები. ჩვენი მიზანი აფხაზების დამარცხება არ არის, მშვიდობაა ჩვენი გამარჯვება. იმ ერთ მუჭა აფხაზ ექსტრემისტებს თავისი ხალხის განწირვის საშუალება არ უნდა მივცეთ. როგორც კი საქართველოს საზღვარზე უცხოტომელების შემოსვლა შეწყდება, ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედავთ.

ავღანელთა კავშირის საქმე ქველმოქმედებაა: დაღუპულთა ოჯახებს, ინვალიდებს, დაჭრილებს, ერთმანეთს ვეხმარებით. ვიყავით ასე ჩვენთვის და მაინც მოგვიწია ომში წამოსვლა. ვთვლით, რომ აქ უნდა ვიყოთ ახლა. სხვაც უნდა იყოს. საკომისიოების ხალხზე ვამბობ, კოოპერატივებზე. დადგნენ ჩემს გვერდით, სროლას ვასწავლი, თუ არ იცის, და ერთად დავიცვათ საქართველო...

ასე წარიმართა ეს კოლექტიური ინტერვიუ ერთ მუშტად შეკრულ ახალგაზრდებთან, რომლებიც ბიჭებს ეძახიან ერთმანეთს.

ნოდარ გიორგაძემ თავისი სათქმელი ბოლოსთვის შემოინახა:

— აქ ხმა გავარდა, თითქოს ავღანელთა ნაწილს მიეტოვებინოს პოზიცია და შინ დაბრუნებულიყოს.

იყო ასეთი ფაქტი. 12-მა მებრძოლმა მართლაც დატოვა წინა ხაზი. ეს მოხდა მაშინ, როდესაც სამაჩაბლოში ძალიან გართულდა მდგომარეობა: ოსმა სეპარატისტებმა ისარგებლეს საერთო სიტუაციით და ისევ ტერორსა და ქართველი მოსახლეობის, ძლივს დაბრუნებული ლტოლვილების დაწიოკებას მიჰყვეს ხელი.

ბიჭების ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა მიეხედათ თავ-თავიანთი სოფლებისთვის, და იარაღით ხელში შინ დაბრუნდა. თორმეტივე გორის რაიონიდან იყო.

შეიძლება მათი გადაწყვეტილების გაგება: როცა შენს ოჯახს თავს ესხმიან, სხვაგან ყოფნა გაგიჭირდება კაცს. მაგრამ ჩვენ მაინც არ ვამართლებთ მათს მოქმედებას, რადგან თვითნებურად მოიქცნენ და არც ჩემთან, არც სხვასთან არ შეუთანხმებიათ. საყვედური ვუთხარით, მაგრამ ის აზრი, თითქოს მათ ბრძოლის ველი მიეტოვებინოთ, არ არის სწორი. მათი ერთი ნაწილი მშვიდობიანობის რეგულირების იმ სისტემაშია ჩართული, რომელიც შიდა ქართლში მოქმედებს; მეორე ნაწილი აფხაზეთში დაბრუნდა.

დგება აფხაზეთში „ავღანელთა" კონტიგენტის გაზრდის საკითხი. ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ეს არ გვჭირდება. ყველა, ვინც აქ არის, კაცურად იხდის მოვალეობას. ჩვენ ერთი პოზიცია გვაქვს — არც ერთ აფხაზს, არც ერთ აფხაზურ ოჯახს ჩვენ არ ვებრძვით, ვიცავთ საქართველოს უცხო ტომის ბანდებისგან. ისიც უნდა გითხრათ, რომ ავღანეთის რეგიონალური კავშირის 30 წევრი აქტიურად არის ჩართული წესრიგის დაცვაში.

დაღესტანში, ჩეჩნეთში და სტავროპოლის მხარეში უკვე შეიქმნა რაზმები, რომლებიც მთავრობის მხარდაჭერით ჩაკეტავენ იმ გზებს, საიდანაც ბანდებს შეუძლიათ შემოსვლა. ასეთივე მუშაობა მიმდინარეობს ადიღეშიც.

არავითარ შემთხვევაში თვალი არ უნდა დავხუჭოთ იმ ყაჩაღობასა და ავაზაკობაზე, რომელსაც, სამწუხაროდ, ჯერ ვერ მოვერიეთ. უკიდურესი ზომა — ადგილზე დახვრეტა, აუცილებლად უნდა განხორციელდეს. დღესაც იყო ხელმძღვანელობაში ამაზე ლაპარაკი. სამეგრელოს მაგალითი კარგი გაკვეთილია.

რატომ ჩამოვედით აფხაზეთში? იმიტომ, რომ არც სხვა გამოსავალი გვაქვს, არც სხვა სამშობლო.

კომისიის წევრები — რუსეთისგან და აფხაზეთის მხარე ბოლოს და ბოლოს ჩამოვიდნენ სოხუმში. სხდომები დახურულ კარს იქით დაიწყო.

იყო 8 სექტემბერი 1992 წლისა.

ა. ძალიძე.

სურათზე: ქართველი „ავღანელები" პოზიციაზე გასვლის წინ.
ბადრი ვადაჭკორიას ფოტო.

დემოკრატიულ არჩევნებს — სანიმუშო წესრიგი

11 ოქტომბერს
საქართველოში
არჩევნებია

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წინასაარჩევნო პერიოდსა და არჩევნების დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ წესრიგს. იმას, რომ რესპუბლიკის მოსახლეობამ დესტრუქციულ ძალებს დაუპირისპიროს მაღალი ორგანიზებულობა, პასუხისმგებლობა, დისციპლინა, რათა ყველამ შეძლოს უსაფრთხოდ და დაუბრკოლებლად განახორციელოს მოქალაქის უფლება-მოვალეობა. გამოხატოს თავისი ნება. რა კეთდება სამისოდ რესპუბლიკაში? როგორ ეხმარებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები ამომრჩევლებს მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში? ამაზე გვესაუბრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე რობინზონ თუშურაშვილი:

— **რესპუბლიკაში** ბოლოხანს შექმნილმა უაღრესად რთულმა და დაძაბულმა ვითარებამ გააქტიურა დესტრუქციული და ექსტრემისტული ძალები, რომლებიც არაფერს არ თაკილობენ, ოღონდ როგორმე გამოიწვიონ პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების დესტაბილიზაცია. ისინი აწყობენ დივერსიულ და ტერორისტულ აქტებს, სჩადიან ყაჩაღობას, მკვლელობას, იტაცებენ და ანადგურებენ სახელმწიფო ქონებას, შანტაჟს მიმართავენ მოქალაქეთა წინააღმდეგ, ცდილობენ, რადაც უნდა დაუჯდეთ, ჩაშალონ კარს მომდგარი დემოკრატიული არჩევნები. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის ანალიზი გვაძლევს იმის უფლებას, ვივარაუდოთ, რომ მოსალოდნელია მათი მოქმედება კიდევ უფრო გააქტიურდეს არჩევნების დღეს.

წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დროს საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უსაფრთხოების და მათი კონსტიტუციური უფლებების უზრუნველყოფის მიზნით რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო კარგა ხანია შეუდგა მზადებას, საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს მიეცათ კონკრეტული მითითებები იმ ღონისძიებების განსახორციელებლად, რომლებიც მყარ საფუძველს შეუქმნის დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას.

შექმნილია ოპერატიული შტაბი, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრი ხელმძღვანელობს. მის შემადგენლობაში შედიან მინისტრის მოადგილეები და კოლეგიის წევრები. შემუშავებულია სპეციალური ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების გეგმა.

ყველაფერს ვღონობთ წინასაარჩევნო კამპანიის და არჩევნების დროს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის და მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების ხელყოფის წინააღმდეგ.

სამინისტროს და მისი დანაყოფების მთელი პირადი შემადგენლობა გადაყვანილია ორცვლიან, ხოლო 4 ოქტომბრიდან გადავა მუშაობის სადღეღამისო რეჟიმზე. შინაგან საქმეთა ორგანოების გაძლიერებით იცავენ საარჩევნო უბნებსა და სხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან ობიექტებს. საჭიროების შემთხვევაში, საარჩევნო კომისიების მოთხოვნისთანავე, საარჩევნო უბნების შენობები გაძლიერებულ სადღეღამისო დაცვას დაექვემდებარება. პოლიციის ყველა საპატრულო მარშრუტი მაქსიმალურადაა მიახლოებული საარჩევნო უბნების ტერიტორიასთან; ამ საქმიანობას ადგილებზე სათავეში უდგანან პირადად შინაგან საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელები ან მათი მოადგილეები.

პოლიციის შესაბამისი სამსახურების მხრიდან გაძლიერებულია კონტროლი იმ პირების მიმართ, რომლებსაც აქვთ დამნაშავეობისადმი და აგრესიულობისადმი მიდრეკილება და აყვანილი არიან აღრიცხვაზე შინაგან საქმეთა ორგანოებში და სამედიცინო დაწესებულებებში. ხორციელდება ღონისძიებები. რათა აღიკვეთოს მათი მხრიდან ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებანი.

რესპუბლიკის რეგიონებში და ავტომაგისტრალებზე საზოგადოებრივ ფორმირებებთან ერთად ეწყობა რეიდები საპასპორტო რეჟიმის დარღვევათა გამოსავლენად, ცეცხლსასროლი, ასაფეთქებელი და მომწამლავი მასალებისა და ნივთიერებების აღმოჩენისა და ამოღების მიზნით. ამ ღონისძიებათა შედეგად ბოლო ხანს გამოვლენილი და ამოღებულია დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვია-წამალი და სხვა აკრძალული საგნები.

ხორციელდება დამატებითი ღონისძიებანი. იმისთვის, რომ ტუსაღები ვერ გაიქცნენ დროებითი პატიმრობის იზოლატორებიდან, სპეცკომენდატურებიდან და სხვა საპატიმრო ადგილებიდან. გაძლიერებულია სანებართვო სისტემის ობიექტების დაცვა. თითოეულ ობიექტზე მუშავდება და ხორციელდება კონკრეტული გეგმები.

შემუშავებული გეგმის თანახმად, 25 სექტემბრამდე სამინისტრო და შინაგან საქმეთა ორგანოების შესაბამისი სამსახურები კომისიური წესით შეამოწმებენ ასაფეთქებელი, რადიოაქტიური და მომწამლავი ნივთიერებების შენახვის ადგილებს და სახალხო მეურნეობის სხვა ობიექტებს.

ნაკლოვანებების გამოვლენისა და მათი აღმოფხვრის მიზნით განხორციელდა გამოკვლევები. მათ შორის სახანძრო-ტექნიკური, იმ შენობებისა, სადაც განლაგებულია საარჩევნო ოლქები და უბნები.

კრიმინალური პოლიციის ოპერატიულ სამსახურებს დაგეგმილი აქვთ და ახორციელებენ ღონისძიებებს ბანდიტური და სხვა დანაშაულებრივი ჯგუფების ასალაგმად.

წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დროს საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მუშაობის ორგანიზაციისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების მოთხოვნათა შესრულების კონტროლის მიზნით საარჩევნო ოლქებზე მიმაგრებული არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრები და მთელი რიგი სამსახურების ხელმძღვანელები, რომლებიც პასუხს აგებენ არჩევნებისთვის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს დავალებული აქვთ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დახმარებით 25 სექტემბრამდე ტექნიკურად გაამაგრონ ყველა საარჩევნო უბანი, უზრუნველყონ ისინი პირდაპირი კავშირით შინაგან საქმეთა განყოფილებების სამორიგეო ნაწილებთან, ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს აღვკვეთოთ არჩევნების დღეს საარჩევნო ბიულეტენების დატაცების მოსალოდნელი საფრთხე.

სპეციალურ ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველო, როგორც სარკინიგზო, ასევე საჰაერო ტრანსპორტზე და ეს ღონისძიებები კიდევ უფრო გამკაცრდება არჩევნებისწინა დღეებში, რათა რესპუბლიკაში რაც შეიძლება ნაკლები „დაუპატიჟებელი სტუმარი" ჩამოვიდეს.

9 ოქტომბრიდან კი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დედაქალაქის სამმართველოში გვეყოლება 400 კაცისთვის გათვალისწინებული სარეზერვო ტრანსპორტი და შვეულმფრენები. საჭიროების შემთხვევაში ისინი ოპერატიულად იმოქმედებენ. ოპერატიულ სამსახურს დაევალა გააძლიეროს მუშაობა მოსახლეობაში უკანონოდ არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და ფეთქებადი მასალების ამოსაღებად.

წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თავისუფლების აღკვეთიდან დაბრუნებული პირების აღრიცხვას და შეძლებისდაგვარად მათ შრომითს მოწყობას.

მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების მიზნით, ადგილებზე ჩვენი ძალებით ვსწავლობთ საზოგადოებრივ აზრს, ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებები, პარლამენტის წევრობის კანდიდატების და მათი ოჯახის წევრების უსაფრთხოების დასაცავად.

კიდევ უფრო გაძლიერდება კონტროლი მოქალაქეთა მიერ შემოტანილი საჩივრების და განცხადებების დროული შესწავლისადმი. განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ იმ საჩივრებს, რომლებიც შეეხება შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლების კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას.

კარგად გვესმის იმ ამოცანის მნიშვნელობა, რომელიც კარს მომდგარმა არჩევნებმა დააყენა ჩვენს წინაშე, — თქვა საუბრის დასასრულს ბატონმა რობინზონ თუშურაშვილმა. — ისიც კარგად გვესმის რომ საქართველოს მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ორგანიზებულად და ობიექტურად ჩავატარებთ ამ არჩევნებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლექტივი ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ ეს ამოცანა წარმატებით გადაწყვიტოს.

საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

ობიექტების დასახელება	უწყება-სამინისტრო	მომუშავეთა რაოდენობა (კაცი)	საბალანსო ღირებულება (ათ. მან.)	პრივატიზაციის ინიციატორი
რაისაზკვება	ვაჭრობის სამინისტრო			სახ. ქონების მართვის სახ. კომიტ. თბილისის სამმართველო
448. საზკვების გაერთიანება № 1 კაფე „მეგობრობა" ხოჯევანგის პარკი	—„—	3		—„—
449. კაფე-ბარი რიყის ტერიტორია	—„—	11		—„—
450. სასაუზმე (მელაანის ქ. № 7)	—„—	8		—„—
451. გაერთიანება № 4 კაფე-სანაყინე (ქეთევან წამებულის 24)	—„—	2		—„—
452. სასოსისე მეტრო 300 არაგველი	—„—	1		—„—
453. სასაუზმე შავი ზღვის ქ. 16	—„—			—„—
454. გაერთიანება 5 სასაუზმე (ქეთევან წამებულის 91	—„—	7		—„—
455. გაერთიანება 32 სასოსისე № 1 ავლაბრის საკოლმეურნეო ბაზარი	—„—	4		—„—
456. სასოსისე № 2 ავლაბრის საკოლმეურნეო ბაზარი	—„—	4		—„—
457. სასაუზმე № 2 მესხიშვილის 7/9	—„—	3		—„—
458. გაერთიანება № 32-ის ფარდული (ავლაბრის ბაზრის ტერიტორია)	—„—	1		—„—
459. სალვეზელე (ავლაბრის ბაზრის ტერიტორია)	—„—			—„—
სადგურ თბილისის საკვანძო კვების კომბინატის ობიექტები				
460. კაფე „ბისტრო (სადგურ თბილისის საკვ. კვ. კომბ. ობიექტი)	—„—	4		—„—
461. კაფე-სანაყინე თბ. საკვანძო	—„—	1		—„—
462. საკონდიტრო საამქრო მეველეს ქ. № 1	—"—	10		—„—
463. კიოსკი № 5 სადგურ თბ. საკვანძო	—„—	1		—„—
464. კიოსკი № 6 სადგურ თბ. საკვანძო	—„—	1		—„—
465. ფირმა „ლალიძე № 3"-ის ფილიალი წულუკიძის ქ. № 11	—„—	5		—„—
თბილტანსაცმლის ინდკერვის საიჯარო ასოციაციები და ატელიები	საყოფაცხ. მომსახ.			
466. ინდკერვის ატელიე № 2 ვარკ. 3, I მ/რ, კორ. 29	—"—	10		—„—
467. ინდკერვის ატელიე № 27-ის ფილ. 3. ლესნის ალმ. № 11	—"—	5		—„—
468. ატელიე № 27-ის ფილ. 1 ნავთლუღის საკოლ ბაზარი	—"—	1		—„—
469. ატელიე № 36 ვარკეთილი 3, 3 მ/რ, კორპ. 338	—"—	7		—„—
გაერთიანება „თოლია"				
470. ქიმწმენდის მოძრავი მანქანა № 2 ჯავახეთის ქ. № 64	—"—	2		—„—
ინდქსოვის ტრიკოტაჟის ფაბრიკის ობიექტები				
471. მიღ პუნქტი № 1 ქეთევან წამებულის ქ. № 1	—„—	1		—„—
472. მიღების პუნქტი № 7 (მეველის ქ. № 2)	—„—	1		—„—
მოიჯარე ორგანიზაცია „თბილინდფეხსაცმელი"				
473. ინდკერვის ატელიე № 27 (ისნის ქ. № 16)	—„—	5		—„—
474. მიღების პუნქტი № 13 ნავთლუღის ბაზრის ტერიტორია	—„—	2		—„—
ფეხსაცმლის შეკეთების სახელოსნოები				
475. სახელოსნო № 2 ავლაბრის საკოლმეურნეო ბაზარი	—"—	3		—„—
476. სახელოსნო № 4 (მეტრო „ავლაბრის" ტერიტორია)	—"—	1		—„—
477. სახელოსნო № 5 (წურწუმიას ქ. № 1)	—„—	5		—„—
478. სახელოსნო № 6 (მეტრო სამგორის" ტერიტორია)	—„—	1		—„—
479. სახელოსნო № 7 (ნავთლუღის ქ. № 1)	—„—	3		—„—
480. სახელოსნო № 8 (ქეთევან წამებულის ქ. № 7)	—„—	1		—„—
481. სახელოსნო № 9 მაკარონის ფ-კის ტერიტორია	—„—	3		—„—
482. სახელოსნო № 10 ტრამვაის პარკის ტერიტორია	—„—	1		—„—
კეთილმომსახურების საიჯარო საწ. გაერთიანება „განთიადი"				
483. სარემონტო კომპლექსური უბ. № 6 ვაზისუბნის დასახ. 3 მ/რ 2 კვ. კორპ.-2	—„—	1		—„—
484. სარემონტო კომპლექსური უბანი № 7 ვარკ. 3, 3 მ/რ კორპ. 304	—„—	7		—„—
485. ელ. ხელსაწყოების შეკეთების სადისპეტჩერო № 2 (მესხიშვილის ქ. № 3)	—„—	6		—„—
486. ტრესტ „თბილსპეცყოფრემშენის" № 11-ხსუ საქმიანი ეზო № 1 (ბალდადის ქ. № 3)	—„—	7		—„—
487. ლითონისა და მინის დაჭრის საამქრო № 3, ვარკეთილი 3, კორპ. 344	—„—	10		—„—
№ 5 სარ. სამშ. სამმართველოს ობიექტები				
488. საქმიანი ეზო № 1. მოსკოვის გამზ. 25	—„—	9		—„—
489. სახელოსნო № 2 ვაზისუბანი 1 მ/რ, კორპ. 10	—„—	1		—„—
490. სახელოსნო № 3 (მეველეს ქ. № 3)	—„—	1		—„—
491. სახელოსნო № 4 ვაზისუბანი 3 მ/რ, 2 კვ. 1 კორპ.	—„—	1		—„—
492. სანტექნიკური საამქრო ვარკ. 3, 3/რ, კორპ. 314	—„—	1		—„—
მრავალდარგოვანი საიჯარო საწარმო „შარაზისხევი-90"				
493. სალონი № 7-ის ფილიალი ქეთევან წამებულის მოედანი № 2	—„—	1		—„—
494. წისქვილი (მეველეს ქ. № 16)	—„—	2		—„—
495. საამქრო № 8 (ბოჭორმის ქ. 3)	—„—	3		—„—
საწ. გაერთიანება „გარანტი"-ს ობიექტები				
496. განყოფილება № 3/2 (ბ. ხმელნიცკის ქ. № 179)	—„—	5		—„—
497. განყოფილება № 6/2 (ბოჭორმის ქ. № 3)	—„—	2		—„—
498. ვაზისუბნის დასახ. 2 მ/რ, კორპ. 1	—„—	9		
გაერთიანება „თბილფოტო"	—„—			—„—
499. ფოტო-ატელიე № 3 (ქეთევან წამებულის ქ. № 1)	—„—	1		—„—
500. ფოტო-ატელიე № 5 (ქეთევან წამებულის გამზ. 3)	—„—	4		—„—
501. ფოტო-ატელიე № 17 (ქეთევან წამებულის 94)	—„—	3		—„—
502. ფოტო-ატელიე № 37 (მეველეს ქ. № 2)	—„—	3		—„—
503. ფოტო-ატელიე № 31 (ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქ. № 57-ა)	—„—	3	*	—„—
504. ფოტო-ატელიე № 33 (ვარკ. 3, 2 მ/რ, 2 კორპ.)	—„—	3	*	—„—
505. ფოტო-ატელიე № 45 (ვარკ. 3., 3 მ/რ კორპ. 322)	—„—	1	*	—„—
506. ფოტო-ატელიე № 52 (ვაზ. III მ/რ, 2 კვ. კორპ. 15)	—„—	3	*	—„—
507. ფოტოპავილიონი № 23 მეტრო სამგორის" ტერიტორია	—„—	1	*	—„—
აბანო-საპარიკმახერო მეურნ. გაერთიანება „ჰიგიენა"	საყოფაცხ. მომსახ.			სახ. ქონების მართ. სახ. კომიტეტ. თბილისის სამმართველო
508. საპარიკმახერო № 114 ნავთლუღის საკოლ. ბაზარი	—„—	7	*	—„—
509. საპარიკმახერო № 135 უშაკოვის ქ. 10	—„—	6	*	—„—
510. საპარიკმახერო № 121 მესხეთის ქ. № 2	—„—	1	*	—„—
511. საპარიკმახერო 52 ქეთევან წამებულის ქ. 65	—„—	2	*	—„—
512. საპარიკმახერო № 125 ბ. ხმელნიცკის ქ. 16	—„—	5	*	—„—
513. საპარიკმახერო № 127 ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქ. 16	—„—	6	*	—„—
514. საპარიკმახერო № 155 ავლაბრის საკ. ბაზარი	—„—	2	*	—„—
515. საათების შეკეთ. სახელოსნო ქეთევან წამებულის ქ. № 13	—„—	2	*	—„—
516. საგალანტერეო ნივთების შეკეთება მეტრო „სამგორი"				
517. სანთებელას შეკეთ. სახელოსნო მეტრო „სამგორი"	—„—	1	*	—„—
518. საათების და საყოფაცხ. ნივთ. შეკეთების სახელოსნო (ქეთევან წამებულის ქ. № 72)	—„—	2	*	—„—
519. საათების და საყოფ. ნივთ. შეკეთ. სახელოსნო (მეველის ქ. № 3)	—„—	2	*	—„—
520. საათების შეკეთ. სახელოსნო (კახეთის გზატკეცილი № 36)	—„—	1	*	—„—
521. ელექტროსაათების შეკეთება კახეთის გზატკეცილი № 36	—„—	1	*	—„—
522. საყოფ. ტექნ. შეკეთების სახელოსნო, ვაზისუბნის დასახლების მე-4 მ/რ, მე-9 კორპუსი	—„—	3	*	—„—
523. ლითონნაკეთობათა უბანი 4 დუტუ მეგრელის ქ. № 11	—„—	1	*	—„—
524. ლითონნაკეთობათა უბანი № 8 ნავთლუღის საკოლმ. ბაზარი	—„—	3	*	—„—
525. ლითონნაკეთობათა უბანი 9 ღვინის აღმართი № 1	—„—	3	*	—„—
526. მხატვრული სარკეების დამზადების საამქრო (წულუკიძის I შესახვევი № 10)	—„—	3	*	—„—
527. ორგმინის ნაწ. დამ. საამქრო ცისკრის ქ. № 4	—„—	6		—„—
528. საიუველირო სალონი № 3 ბოგდან ხმელნიცკის ქ. № 149	—„—	33		—„—
529. მრავალდარგოვანი კომბინატი „არგო" (ვაზისუბნის დასახლება I მ/რ, I კორპუსი)	—„—	25		—„—
530. მრავალდარგოვანი კომბინატი „ვაზისუბანი" (ვაზისუბნის დასახლება, მე-3 მ/რ, კვარტ. მე-17 კორპ.	—„—	32		—„—

დიდუბის რაიონი

„რაისურსათვაჭრობა"	ვაჭრობის სამინისტრო			
531. № 9 მაღაზიის პავილიონი № 2 ტრანსპორტის ქ. № 1	—„—	2	36	—„—
532. № 15 მაღაზიის ფილიალი № 1 დ/მ მე-4 კვ.	—„—	1	21	—„—
533. მაღაზია № 15-ის ფილიალი № 2 დ/მ მე-4 კვ.	—„—	1	17	—„—
534. მაღაზია № 25 დავით აღმაშენებლის 104	—„—	2	3	—„—
535. მაღაზია № 25 ფილიალი № 1 დავით აღმაშენებლის 95	—„—	1	2	—„—
536. მაღაზია № 53, ფილიალი დ/მ მე-5 კვ.	—„—	1	12	—„—
„მრეწვვაჭრობა"				
537. მაღაზია № 115 დავით აღმაშენებლის 130	—„—	4	6	—„—
538. მაღაზია № 5 აკაკი წერეთლის 59	—„—	4	5	—„—
539. მაღაზია № 57 კრილოვის ქ. 15.	—„—	2	4	—„—
540. მაღაზია № 75 დავით აღმაშენებლის 138	—„—	4	9	—„—
541. მაღაზია№ 41-ის ფილიალი თამარ მეფის გამზირის № 13	—„—	4	4	—„—
542. მაღაზია № 14 თამარ მეფის 11	—„—	2	3	—„—
რაისაზკვება				
543. კაფე-საჩაიე (დავით აღმაშენებლის 115)	—„—	11	20	—„—
544. სასოსისე (ტელმანის ქ. № 7)	—„—	3	4	—„—
545. პავილიონი № 1 (დავით აღმაშენებლის 122)	—„—	20	24	—„—
546. საჩაიე „მიმოზა" (აკაკი წერეთლის 110)	—„—	15	17	—„—
547. სახინკლე (დ/მ მე-5 კვ)	—„—	18	20	—„—
548. სამწვადე დ/მ მე-5 კვ.	—„—	24	25	—„—
მრავალდარგოვანი მომსახურების ობიექტები	საყოფაცხ. მომსახურ.			
549. საათების შეკეთების სახელოსნო (აკაკი წერეთლის № 71)	—„—	1		—„—
550. საყოფ. ტექნ. შეკეთ. სახელოსნო (თამარ მეფის გამზ. 14)	—„—	3		—„—
551. საყოფ. ტექნ. შეკეთ. სახელოსნო დავით აღმაშენებლის 111)	—„—	2		—„—
552. საყოფ. ტექნ. შეკეთ. სახელოსნო მარჯანიშვილის 30	—„—	2		—„—
553. საათების შეკეთების სახელოსნო (დავით აღმაშენებლის 118)	—„—	1		—„—
554. ელექტროსაათების შეკეთების სახელოსნო (თამარ მეფის 22)	—„—	1		—„—
555. ელექტროსაათების შეკეთ. სახელოსნო აკაკი წერეთლის. 28	—„—	1		—„—
556. ელექტრო ჩაათის სახელოსნო (მეგობრობის გამზ. მე-2 კვ, VI კორპ.)	—„—	1		—„—
557. საფირმო კომერციული მაღაზია № 4 დ/მ I მ/რ, მე-2 კვ.	—„—	1		—„—
საპარიკმახეროები				
558. № 37 (დავით აღმაშენებლის 108)	—„—	1		—„—
559. № 41 (დიდუბის ქ. 12)	—„—	1		—„—
560. № 40 (ტელმანის 3)	—"—	1		—„—
561. № 71 (სამტრედიის ქ. № 24)	—„—	1		—„—
562. საპარიკმახერო № 152 (თევდორე მღვდლის ქ. № 100)	—„—	1		—„—
ფეხსაცმელების შეკეთება	საყოფაცხ. მომსახურ.			
563. მიმღები პუნქტი 2 აბასთუმნის ქ. 10	—„—	1		—„—
564. მიმღები პუნქტი № 3 დავით აღმაშენებლის 104	—„—	1		—„—
565. ფეხსაცმელების მიმღები პუნქტი № 4 მარჯანიშვილის 30	—„—	3		—„—
566. ფეხსაცმელების მიმღები პუნქტი № 5 (დავით აღმაშენებლის 95)	—„—	2		—„—
567. ფეხსაცმელების მიმღები პუნქტი № 8 (წინამძღვრიშვილის ქ. № 133)	—„—	2		—„—
568. ფეხსაცმელების მიმღ. პუნქტი № 15 მეტრო „დიდუბე"	—„—	1		—„—
569. ფეხსაცმ. სწრაფ. შეკეთ. სახელოსნო აკაკი წერეთლის 99	—„—	9		—„—
570. ფეხსაცმ. შეკეთ. სახელოსნო № 3 დ/მ ორახელაშვილის 5	—„—	1		—„—
571. ფეხსაცმ. შეკეთების სახ. № 4 აკაკი წერეთლის 73 ა	—„—	1		—„—
572. ფეხსაცმ. შეკეთების სახ. № 5 დ/მ მე-5 კვ.	—„—	2		—„—
573. ფეხსაცმ. შეკეთ. სახელოსნო № 7 თხინვალის ქ. № 22	—„—	1		—„—
574. ფეხსაცმ. შეკეთების სახელოსნო № 10 დ/მ მე-5 კვ. მიქელაძის 5	—„—	1		—„—
575. ფეხსაცმ. შეკ. სახელოს. № 11 რობაქიძის ქ. მე-5 კვ I კორპ.	—„—	3		—„—
576. ფეხსაცმ. შეკ. სახელოსნო № 13 აღმაშენებლის 144	—„—	3		—„—
577. ფეხსაცმ. შეკ. სახ. № 14 უზნაძის 54	—„—	1		—„—
578. ფეხსაცმ. შეკ. სახ. № 15 კაზოვკის 10	—"—	2		—„—
579. ფეხსაცმ. შეკ. სახ. № 18 სურამის 12	—„—	2		—„—
580. ფეხსაცმ. შეკ. სახელოსნო № 19 აკაკი წერეთლის 25	—„—	1		—„—

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა" № 176-177, 179-180.

ᲡᲐᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐ

ობიექტების დასახელება და ადგილმდებარეობა	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ათ. მან.	ათვისებულია 1992 წ. 1.01 ათ. მან.	დარჩენილია ასათვისებლად ათ. მან.	კონიუნქტურული მიმოხილვა
	საყოფაცხ. მომსახ.			სახ. ქონებ. მართვის სახ. კომიტ. თბილისის სამმართველო
581. ფეხსაცმ. შეკ. სახ. № 15 დ/მ მე-8 კვ 34 კორპ.	—„—	1		—„—
582. სანტექნიკური საამქრო № 4 ბელიაშვილის ქ. № 10	—„—	4	74	—„—
583. მიმღები პუნქტი № 19 დ/მ II კვ. 5-ა კორპ.	—„—	2		—„—
584. მიმღები პუნქტი № 40 აკაკი წერეთლის 40	—„—	2		—„—
585. საყოფაცხოვრებო მომსახურების სალონი № 8 აკაკი წერეთლის 99	—„—	4	85	—„—
586. საყოფაცხოვრებო მომსახურების უბანი № 1-ის ფილიალი თამარ მეფის გამზ. № 14	—„—	1		—„—
587. საყოფაცხოვრებო მომსახურების უბანი № 1-ის ფილიალი დავით ალმაშენებლის 111	—„—	1		—„—
588. საყოფაცხოვრებო მომსახურების უბანი № 1-ის ფილიალი დავით ალმაშენებლის 98	—„—	4		—„—
589. საყოფაცხოვრებო მომსახურების უბანი № 1-ის ფილიალი ალმაშენებლის 140	—„—	3		—„—
590. საყოფაცხოვრებო მომსახურების უბანი № 1-ის ფილიალი მარჯანიშვილის 30	—„—	1		—„—
591. საყოფაცხოვრებო მომსახურების უბანი № 1-ის ფილიალი ალმაშენებლის 110	—„—	2		—„—
592. დაკვ. მიმღები პუნქტი № 15 დავით ალმაშენებლის 140	—„—	1		—„—
593. დაკვ. მიმღ. პუნქტი № 7 აბასთუმნის № 8	—„—	3		—„—
594. დიდუბის რაიონის ბიურო „ვიზა“ (ელიავას ქ. № 34)	—„—	4	28	—„—
595. კომპ. მიმღები ბიურო (დავით ალმაშენებლის ქ. 117)	—„—	2		—„—
596. სახელოსნო № 2 აკაკი წერეთლის 101	—„—	5	36	—„—
597. სახელოსნო № 3 უზნაძის ქ. № 54	—„—	4	20	—„—
ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ				
ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ	ვაჭრობის სამინისტრო			
598. შერეული მაღაზიის ფილიალი № 1 მოდების ფაბრიკის ტერიტორია)	—„—	1		—„—
599. ფილიალი № 2 (კახეთის გზატკეცილი)	—„—	1		—„—
600. ფილიალი № 3 (III მასივი ზ/პლატო)	—„—	3		—„—
601. მაღაზია № 9-ის ფილიალი № 1 (ნაკადულის ქ. № 5)	—„—	1		—„—
602. მაღაზია № 11-ის ფილიალი № 3 (ვეჟინაძის ქ. № 8)	—„—	2		—„—
603. მაღაზია № 12-ის ფილიალი № 1 (დასახ. ლილო)	—„—	3		—„—
604. მაღაზია № 13 (III მასივი, VII კვ.)	—„—	1		—„—
605. მაღაზია № 29 (ვარკეთილის მას. VII კვ.)	—„—	1		—„—
606. ფილიალი № 1 (შუამთის ქ. № 32)	—„—	1		—„—
607. მაღაზია № 36 (რკინა-ბეტონის ქარხ. ტერიტ.)	—„—	1		—„—
608. მაღაზია № 38 (შუამთის ქ. № 24)	—„—	1		—„—
609. ხილბოსტანვაჭრობის № 16 პავილიონი (კალოუბნის ქ. № 14)	—„—	5		—„—
ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ				
610. შერეული მაღაზია № 44 (ორხევის დასახლება)	—„—	3		—„—
„ᲡᲐᲥᲤᲘᲒᲜᲘᲡ“ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘ				
611. მაღაზია № 12 (ბოგდან ხმელნიცკის ქ. № 1)	—„—	2		—„—
612. მაღაზია № 30 (მოსკოვის გამზ. IV კვ. III კორპ.)	—„—	1		—„—
613. მაღაზია № 43 (კახეთის გზატკ. 1 კვ. „ა“ კორპ.)	—„—	2		—„—
614. მაღაზია № 54 (ვეჟინაძის ქ. № 17)	—„—	3		—„—
615. მაღაზია № 58 (საქსოფლმანქანის დასახლ. II კვ. VI კორპუსი)	—„—	1		—„—
616. ჯიხური № 1 (რაიონის გამგეობის შენობაში)	—„—	1		—„—
617. ჯიხური № 2 (ახვლედიანის ქ. № 22)	—„—	1		
618. ჯიხური № 3 (აეროპორტი)	—„—	1		—„—
619. ჯიხური № 4 (საავიაციო საწარმოო გაერთიანების (ტერიტორია)	—„—	1		—„—
ᲡᲐᲖᲙᲕᲔᲑᲐ				
620. სასოსისე № 9 (ქიზიყის ქ. № 7)	—„—	2		—„—
621. მშენებარე პავილიონი (კახეთის გზატკეცილი)	—„—	3		—„—
622. ლუდის ჯიხური (ვეჟინაძის ქ.)	—„—	1		—„—
623. ლუდის ჯიხური (მეტალობაზის მიმდებ. ტერიტ.) აეროპორტის კვების კომბინატი:	—„—	1		—„—
624. ინტურისტის „ბუფეტი“ (აეროპორტის შენობაში)	—„—	2		—„—
625. ბუფეტი „შეხვედრა“ (აეროპორტის შენობა)	—„—	2		—„—
626. საერთო საცხოვრებლის თონე (აეროპორტი)	—„—	2		—„—
627. საკონდიტრო (აეროპორტის შენობაში)	—„—	2		—„—
ᲗᲑᲘᲚᲘᲜᲓᲞᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ	საყოფაცხ. მომსახ.			
628. ატელიე № 8 (ბ. ხმელნიცკის. ქ. № 86)	—„—	1		—„—
ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲓᲐᲠᲒᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲕᲐᲠᲐᲖᲘᲡᲮᲔᲕᲘ-90“				
629. საყოფაცხოვრებო მომსახ. სალონი № 8 (ვარკეთ. ბაზრის ტერიტორია)	—„—	1		—„—
630. საყოფაცხოვრებო მომსახ. სალონი № 11 (აეროპორტის დასახლება)	—„—	7	8	—„—
631. საყოფაცხ. მომსახ. სალონი № 18 გუმათჰესის ქ. № 2-ა)	—„—	10		—„—
632. საყოფაცხოვრ. მომსახ. სალონი № 19 (საქსოფლმშენის დასახ. 4 კვ. 2 კორპ.)	—„—	2	4	—„—
ᲐᲕᲔᲯᲘᲡ ᲘᲜᲓᲙᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ				
633. ფაბრიკის სათაო წარმოება (ვირნაზულის შესახ. № 3)	—„—	116	119	—„—
634. სახელოსნო № 1 (თეთრი ხევის დასახლება)	—„—	13	12	—„—
635. სახელოსნო № 9 (თვალჭრელიძის ქ. № 2)	—„—	9	101	—„—
636. სახელოსნო № 11 (ლილოს დასახლება)	—„—	15	81	—„—
637. სახელოსნო № 10 (ლილოს დასახლება)	—„—	3	52	—„—
ს/გ „ᲰᲘᲒᲘᲔᲜᲐ“				
638. აბანო № 17 (ორხევის დასახლება)	—„—	7	149	—„—
639. საპარიკმახერო-სალონი № 112 ([illegible] ქ. № 12)	—„—	1	412	—„—
640. საპარიკმახერო სალონი № 122 (მეხუთე მასივი, აეროპორტის ქ.)	—„—	1		—„—
641. საპარიკმახერო-სალონი № 124 (მეხუთე მასივი, აეროპორტის დასახლ.)	—„—	4	10	—„—
[illegible]				
642. [illegible]-ატელიე № 48 ნოსკოვის გა[illegible] № 48)	—„—	4		—„—
643. [illegible]-ატელიე № 49 (კახეთის [illegible]. VI კვ. 10 კორპ.)	—„—	2		—„—
„ᲗᲑᲘᲚᲒᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐ“	საყოფაცხ. მომსახ.			სახ. ქონ. მართ. სახ. კომიტ. თბილისის სამმართველო
644. გაქირავების პუნქტი № 27 (ვარკეთილის მასივ. I კვ.)	—„—	1		—„—
645. გაქირავების პუნქტი № 28 (მო	—„—			—„—
ს/გ „ᲕᲐᲠᲙᲔᲗᲘᲚᲘ“				
646. კომბინატი „თაიგული“	—„—	24	78	—„—
647. კომბინატი „ერთგულება“ (ქინძმარაულის ქ. კორპ. 2)	—„—	16	8	—„—
648. საყოფაცხოვრებო მომსახურების სალონი № 10 (ორხევის დასახლება)	—„—	34	142	—„—
649. [illegible] საამქრო (ვარკეთილის მას. VI კვ.)	—„—	13	43	—„—
650. ქურქების სამკერვალო საამქრო (ვარკეთილის მას. VI კვ.)	—„—	17	10	—„—
651. რესტავრაციის საამქრო (საქსოფლმანქანის დასახლება)	—„—	3		—„—
652. ავტოსამრეცხაო № 10 (კახეთის გზატკეცილი)	—„—	3		—„—
653. ავტოსამრეცხაო № 9 (კახეთის გზატკეცილი)	—„—	3		—„—
ᲕᲐᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ				
654. სურსათვაჭრობის მაღაზია № 17 ფილ. 1, ტიციან ტაბიძის II შესახვევი	ვაჭრობის სამინისტრო	1		სახ. ქონ. მართ. სახ. კომიტ. თბილისის სამმართველო
655. ავეჯის სარესტავრაციო სახელოსნო მცხეთის ქ. 3	საყოფაცხ. მომსახ.	9		—„—
ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲗᲝᲚᲘᲐ“				
656. მიმღები პუნქტი № 7 (მოსაშვილის ქ. 9)	—„—	1		—„—
657. მიმღები პუნქტი № 9 (ყაზბეგის ქ. 48)	—„—	2		—„—
658. მიმღები. პუნქტი № 11 (ბარნოვის ქ. 11)	—„—	1		—„—
659. მიმღები პუნქტი № 25 (ვ. ფშაველას ქ. 100)	—„—	2		—„—
ᲢᲠᲔᲡᲢᲘ „ᲗᲑᲘᲚᲡᲐᲔᲪᲧᲝᲤᲠᲔᲛᲨᲔᲜᲘ“				
660. სანტექნიკური სახელოსნო № 2 ნუცუბიძის IV მ/რ	—„—	7		—„—
661. სანტექნიკური სახელოსნო № 7 (ვ. ფშაველას V კვ. II კო)	—„—	8		—„—
„ᲗᲑᲘᲚᲘᲜᲓᲞᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ“				
662. ატელიე № 14 (ჭავჭავაძის 22)	—„—	4		—„—
663. ატელიე № 33 (ვ. ფშაველას 75)	—„—	2		—„—
664. ფეხსაცმლის ინდკერვის ატელიე №7 (ბაგები 11 კორპ.)	—„—	9		—„—
665. ფეხსაცმლის სასწრაფო შეკეთების სახელოსნო № 1 (ვ. ფშაველას II კვ. კორპ. 61)	—„—			
666. ხმის ჩამწერი სტუდია № 3 (ვ. ფშაველას 100)	—„—	1		—„—
ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲰᲘᲒᲘᲔᲜᲐ“				
667. საპარიკმახერო № 212 (ბარნოვის ქ. № 121)	—„—	9	2	—„—
ᲡᲐᲖᲙᲕᲔᲑᲐ				
668. ნაძალადევის რაისაზკვების ტრესტის კაფე „მამისონი“ (თემქის დასახლ. IV მ/რ)	ვაჭრობის სამინისტრო	2	*	სახ. ქონ. მართვის სახ. კომიტეტი
669. ნაძალადევის რაისაზკვების ტრესტის გაერთიანება № 5-ის კაფე (კ. დადიანის ქ. № 2)	—„—	3	*	—„—
670. ნაძალადევის რაისაზკვების ტრესტის გაერთიანება № 16-ის კაფე სანაყინე (მეტრო „დიდუბის“ ტერიტორია)	—„—	2	*	—„—
671. კაფე „ახალგაზრდული“ (მდებარე სტუდქალაქში)	—„—	1	*	—„—
672. ფირმა „იბერია-XXI“-ის სანთებელის შეკეთების სახელოსნო (მეტრო „ელექტროდეპოსთან“)	საყოფაცხ. მომსახ.		*	—„—
673. ფირმა „იბერიას“ № 5 საწარმოო უბანი (თემქის დასახლების მ მ/რ, II კვ.)	—„—	1	*	—„—
674. ფირმა „იბერია-XXI“-ის სანთებელის შეკეთების სახელოსნო (დიღმის ბაზარში)	—„—	1	*	—„—
675. ფირმა „იბერიას“ № 13 საწარმოო უბანი (ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის II შესახვევი)	—„—		*	—„—
676. ფირმა „იბერიას“ მინის და სარკის დამზადების საწარმო (შუამთის ქ. № 15)	—„—	7	300	—„—
677. მრავალდარგოვან საწარმოთა გაერთიანების საიჯარო საწარმო „ვარაზისხევი—90“ (კეკელიძის ქ. № 25)	—„—	82	57	—„—
678. ტანსაცმლის ინდკერვის ატელიე № 3/4 (რკინის რიგი № 9)	—„—	1	*	—„—
679. თბილისის კრწანისის რაისაზკვების კაფე „რძის ნაწარმი“ (ლესელიძის ქ. № 30)	ვაჭრობის სამინისტრო	4	*	—„—
680. თბილისის ჩუღურეთის რაიონის № 20 სასურსათო მაღაზია (მონტინის ქ. № 18)	—„—	4	*	—„—
681. მრეწველვაჭრობის გაერთიანება № 86 (დავით ალმაშენებლის № 75)	—„—	1	*	—„—
682. სასურსათო მაღაზია № 38 (ფალიაშვილის ქ. № 38)	—„—	4	*	—„—
683. მაღაზია № 86 (კ. გამსახურდიას პრ. № 15)	—„—	8	*	—„—
684. ჩუღურეთის რაისურსათვაჭრობის № 21 მაღაზია (ნორიოს ალმართი № 54)	—„—			—„—
685. ჩუღურეთის რაისურსათვაჭრობის № 34 მაღაზია (კლდიაშვილის 13)	—„—		*	—„—
686. ჩუღურეთის რაისურსათვაჭრობის № 39 მაღაზია (ხრამჰესის ქ. № 21)	—„—		*	—„—
687. ჩუღურეთის რაისურსათვაჭრობის № 18 მაღაზიის № 26 ფილიალი (ნორიოს ალმართი)	—„—		*	—„—
688. დიდუბის რაიონის № 30 მაღაზია (დავით ალმაშენებლის 10)	—„—	1	*	სახ. ქონ. მართ. სახ. კომიტ. თბილისის სამმართველო
689. ვაკის რაისურსათვაჭრობის № 41 მაღაზია (ბარნოვის № 119)	—„—	3	2	—„—
690. ვაკის რაისურსათვაჭრობის მაღაზია № 40 (მცხეთის ქ. 18)	—„—	4	4	—„—
691. ჩუღურეთის რაისურსათვაჭრობის მაღაზია № 32 (გოგოლის ქ. № 52)	—„—	3	3	—„—
692. ვაკის რაიონის ქიმწმენდის მიმღები პუნქტი № 9 (ყაზბეგის ქ. 48)	საყოფაცხ. მომსახ.	2	10	—„—
693. მთაწმინდის რაიონის საპარიკმახერო № 8 (კეკელიძის ქ. № 14)	—„—	11	6	—„—
694. ნაძალადევის რაიონის ხმის ჩამწერი სტუდია 7 (ცოტნე დადიანის 139)	—„—	2	22	—„—
695. მთაწმინდის რაიონის საპარიკმახერო № 253 (კოსტავას ქ. № 6)	—„—	1	1	—„—
696. საგალანტერიო მაღაზია № 4 (გლდანის მას. I მ/რ, კორპ. 23)	ვაჭრობის სამინისტრო	3	7	—„—
697. თბილისის შერეული მაღაზია № 13 (დაბა წყნეთი)	—„—	9	13	—„—
698. თბილისის შერეული მაღაზია № 17-ის ფილიალი № 1 (გალაკტიონ ტაბიძის შესახვევი № 9)	—„—	3	21	სახ. ქონ. მართვის სახ. კომიტეტი
699. თბილისის შერეული მაღაზია № 25 (შატბერაშვილის ქ. № 14)	—„—	2	14	—„—
700. თბილისის შერეული მაღაზია № 34 (ნუცუბიძის ქ. № 52)	—„—	1	12	—„—
701. თბილისის შერეული მაღაზია № 47-ის ფილიალი № 1 (ბარნოვის ქ. № 168)	—„—	2	11	—„—
702. თბილისის შერეული მაღაზია № 56 (ჩიქოვანის ქ. № 4)	—„—	1	6	—„—
703. თბილისის № 63 სამრეწველო მაღაზია (დიღმის მასივი III კვარტალი)	—„—	2	6	—„—
704. თბილისის საფირმო მაღაზია „ნანა“ (დავით ალმაშენებლის № 112)	—„—	8	154	კოლექტივის განცხადება
705. თბილისის № 11 მაღაზია (ნუცუბიძის მე-3 მ/რ, 1 კვ. I კორპ.)	—„—	1	14	კერძო პირის განცხადება
706. თბილისის ქსოვილების მაღაზია „ბიური“ (ჭავჭავაძის პრ. № 11)	—„—	6	653	კოლექტივის განცხადება
707. რესპუბლიკური გაერთიანება „საქვაჭრობრეკლამა“	—„—	[illegible]	1508	—„—

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ).

აფხაზეთის მოსახლეობა

ანზორ თოთაძე,
საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზეთის სამთავრო ვრცელდებოდა მხოლოდ ჯიქეთიდან მდინარე კოდორამდე. ეს ნათლად ჩანს ქართულ წყაროებში და აგრეთვე უცხოელ ავტორთა, კერძოდ არქანჯელო ლამბერტის, შარდენისა და სხვათა ნაშრომებში. მაგალითად, არაფერი რომ არა ვთქვათ ვახუშტი ბატონიშვილის წერილობით ძეგლზე, ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელმაც 1672-1673 წლებში საქართველოში იმოგზაურა და თავისი თვალით ნანახი უამრავი ფაქტი და მოვლენა აღწერა, პირდაპირ აცხადებს: მდინარე კოდორი სამეგრელოს გამოყოფს აფხაზეთიდანო. მოგზაური, საეჭვო რომ არაფერი დარჩეს, იმასაც დასძენს — სამეგრელო თვითონვა მაქვს თავიდან ბოლომდე გავლილიო (შარდენის მოგზაურობა. თბ. 1975, გვ. 107). ამასვე მიუთითებს ფრანგი კონსული გამბა, რომელმაც XIX საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში იმოგზაურა საქართველოში. იგი სამურზაყანოს სამეგრელოს ერთ-ერთ პროვინციად თვლიდა და აღნიშნავდა, რომ სამურზაყანო დადიანების სახელმწიფოს ნაწილს შეადგენსო (ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. 1, თბ; 1987, გვ. 112).

ის, რომ სამურზაყანო სამეგრელოს ეკუთვნოდა, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმაც კარგად იცოდნენ და ისინი არაერთხელ აღნიშნავენ ამას. მაგალითად, 1834 წელს აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შერვაშიძემ მიითვისა სოფელი ილორი და სოფლის მცხოვრებლებისაგან ერთგულების ფიციც მოითხოვა. ამის თაობაზე ბარონმა როზენმა მიწერა მიხეილ შერვაშიძეს: „ასეთი მოქმედება ემსახურება აფხაზეთში არსებული უწესრიგობის გამრავლებას და არ შეიძლება გაკვირვება არ გამოიწვიოს სხვის სამფლობელოში თქვენი ასეთი თვითნებობის გამო. ხელისუფლებისათვის ცნობილია, რომ ცოცხალი საზღვარი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის არის მდინარე ღალიძგა. და რამდენადაც სოფელი ილორი მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე, ის არ შეიძლება ეკუთვნოდეს აფხაზეთს. ამიტომ მე ვალდებული ვარ გთხოვოთ... გამოუცხადოთ წერილობით ყველა ილორელს, რომ მათ მიერ მიღებული ფიცი თქვენდამი ერთგულებაზე უსაფუძვლოა და ისინი ეკუთვნიან არა თქვენს უმაღლესობას, არამედ სამეგრელოს მფლობელს". (Акты Кавказской археографической комиссии, т. VIII, Тифлис, 1881, с. 449). ბარონი როზენი სხვა დოკუმენტებშიც არაერთხელ აღნიშნავს, რომ სამურზაყანო ეკუთვნის სამეგრელოს (იქვე გვ. 453). ამ პერიოდში გამოსულ სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაშიც სამურზაყანო სამეგრელოს ნაწილადაა აღიარებული. (История военных действий в азиатской Турции, в 1828—1829 годах. Часть первая, Варшава, 1843, стр. 32).

ვფიქრობთ, ყოველივე აღნიშნულის შემდეგ შ. ინალ-იფა, ს. ლაკობა და ბ. აშუბა დაგვეთანხმებიან, რომ არა თუ მეტად გაძნელდება, არამედ შეუძლებელიცაა შარდენს, გამბასა და როზენს მიკერძოება დავწამოთ.

აფხაზი ავტორები შეგნებულად არასწორად განსაზღვრავენ მე-19 საუკუნეში თურქეთში გადმოსახლებულ აფხაზთა რაოდენობას. უკანასკნელ წლებში ისინი სულ უფრო და უფრო ზრდიან ამ მაჩვენებლებს. ეს იმიტომ სჭირდებათ, რომ დაამტკიცონ: „აფხაზეთში აფხაზები დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენო. თუ ადრე გადასახლებულთა რიცხვს ძირითადად 30 ათასით განსაზღვრავდნენ, შემდეგში ამ მაჩვენებელმა 400 ათასსაც კი მიაღწია. კონიუნქტურის აყოლის სურვილი ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ თუ ადრე შ. ინალ-იფა თურქეთში გადასახლებული აფხაზების საერთო რიცხვს 60 ათასი კაცით განსაზღვრავდა (Абхазское долгожительство, М. 1987, стр. 23). ამჟამად, მისი აზრით მე-19 საუკუნეში თურქეთში 100 ათასი აფხაზი მაინც გადასახლდა, თუ მეტი არა (Ш. Д. Инал-Ипа, Зарубежные абхазы, Сухуми, 1990, стр. 35).

ბ. აშუბას აზრით კი მე-19 საუკუნის 80 წლისთავში 200 ათასი აფხაზი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო.

თუ ზემოთ აღნიშნულ მონაცემებს გავაანალიზებთ, აფხაზეთიდან დაახლოებით 30 ათასი აფხაზი გადასახლდა თურქეთში. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ მათი დიდი ნაწილი უკან დაბრუნდა. მაგალითად, თურქეთში ყველაზე მასობრივი გადასახლება მოხდა 1877-1878 წლებში, გადასახლდა დაახლოებით 30 ათასი კაცი, მაგრამ მუჰაჯირების დაახლოებით ნახევარი მალე უკან დაბრუნდა. (Г. П. Лежава. Изменение классово-национальной структуры населения Абхазии. Сухуми, 1989, стр. 12) ამასთან აფხაზები თურქეთში გადასახლდნენ არა მარტო საქართველოდან, არამედ ყუბანის ოლქიდანაც, სადაც 1897 წლის მოსახლეობის აღწერით 12,5 ათასი აფხაზი ცხოვრობდა. კერძოდ, მარტო 1871-1884 წლებში ყუბანის ოლქიდან თურქეთში გადასახლდა 13 ათასი მთიელი და სხვა მუსულმანური სარწმუნოების ადამიანები, მათ შორის 1809 აფხაზი (Сборник сведений о Кавказе, т. IX, Тифлис, 1885, стр. 98). ამჟამად თურქეთში აფხაზები მეტად მცირე რაოდენობით ცხოვრობენ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გასულ საუკუნეში ისინი დიდი რაოდენობით თურქეთში არ გადასახლებულან. მაგალითად, 1983 წელს მსოფლიოში აფხაზთა რაოდენობა 95 ათას კაცს აღწევდა (С. И. Брук. Население мира, М. 1986. стр. 790), თუ გავითვალისწინებთ, რომ 1979 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ყოფილ საბჭოთა კავშირში აფხაზების რაოდენობა 91 ათასს უდრიდა. მაშინ საბჭოთა კავშირის საზღვრებს მიღმა დაახლოებით 5 ათასი აფხაზი ცხოვრობდა, ძირითადად თურქეთში. ამასვე ამტკიცებს ენციკლოპედიური ლიტერატურაც (Советский Энциклопедический словарь, М. ,1983. с. 11).

მიუხედავად ამისა, აფხაზი მეცნიერები ყოველმხრივ ცდილობენ საქმე ისე წარმოაჩინონ, თითქოს თურქეთში ასიათასობით აფხაზი ცხოვრობდეს. ამ მხრივ მათი მსჯელობა კრიტიკას ვერ უძლებს. მაგალითად, შ. ინალ-იფა აფხაზების რაოდენობას თურქეთში შემდეგნაირად განსაზღვრავს: ზოგიერთები ამბობენ, რომ თურქეთში ამჟამად აფხაზების რაოდენობა 300 ათასზე ნაკლები არაა, ხოლო ზოგიერთების აზრით — 250 ათასია. ზოგიერთები, რომლებიც თურქეთში ხანგრძლივად ცხოვრობენ, აღნიშნავენ, რომ თურქეთში აფხაზები უფრო მეტია, ვიდრე ჩერქეზები. აი, ასე, „ზოგიერთების" მონაყოლისა და წარმოდგენის საფუძველზე შ. ინალ-იფა ასკვნის, რომ ამჟამად თურქეთში ცხოვრობს არა ნაკლებ 100 ათასი აფხაზისა (Ш. Д. Инал-Ипа. Зарубежные абхазы, 1990, с. 38).

აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა

	1886 წ.	1926 წ.	1959 წ.	1970 წ.	1979 წ.	1989 წ.
აფხაზი	28320	55918	61193	77276	83097	93267
ქართველი	34806	67494	158221	199595	213322	239872
სომეხი	1090	25677	64425	74850	73350	76541
რუსი	1216	12553	86715	92889	79730	74914
ბერძენი	2149	14045	9101	13114	13642	14664
სულ	68773	201016	404738	486959	486082	525061

ახლა თუ ისევ აფხაზეთის მოსახლეობას დავუბრუნდებით, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის ქალაქებშიც უმრავლესობა ქართველები ცხოვრობდნენ, მაგალითად, იმავე საოჯახო სიების მონაცემებით 1886 წელს სოხუმში სამი აფხაზი ცხოვრობდა: ერთი ქალი და ორი მამაკაცი. ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. ასევე ოჩამჩირეში 1886 წელს მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. გუდაუთის მოსახლეობაშიც ქართველები სჭარბობდნენ.

თუ ზემოთ აღნიშნულ 1886 წლის მონაცემებს მხედველობაში მივიღებთ, სავსებით კანონზომიერად ჩანს და არავითარ ეჭვს არ იწვევს ქართველი და აფხაზი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე 40 წლის მანძილზე. კერძოდ, 1926 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, აფხაზეთში ცხოვრობდა 67 494 ქართველი და 55918 აფხაზი. მაგრამ აქ ერთი შენიშვნა მაინც უნდა გავაკეთოთ. ამ აღწერის მიხედვით 8920 აფხაზი ანუ თითქმის ყოველი მეექვსე მშობლიურ ენად ქართულს თვლიდა, 1979 წელს კი — მხოლოდ 730. ვფიქრობთ, ეს იმის შედეგია, რომ ჩვენთვის ცნობილი მიზეზების გამო (ეთნიკური მეტამორფოზის გზით ბატონყმობის მძიმე უღლის თავიდან მოცილება, აგრეთვე ჯარში სამსახურისთვის თავის არიდება, რადგან მეფის მთავრობას აფხაზები ჯარში არ გაჰყავდა და სხვა) აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ნაწილი გააფხაზდა.

აფხაზეთის წარმომადგენლები განსაკუთრებული მონდომებით აღნიშნავენ მექანიკური მოძრაობის შედეგად აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ზრდას. მაგალითად, ს. ლაკობა მისთვის დამახასიათებელი სტილით აცხადებს: ქართველებს უნდა ცხვენოდეთ იმისა, რომ აფხაზეთში ამჟამად აფხაზები 17 პროცენტს შეადგენენო. თუ აფხაზურ ანდაზას ოდნავ გადავაკეთებთ, როცა ქოცო მიგორავს, სარქველი ყოველთვის როდი მოერგებაო.

რა თქმა უნდა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ აფხაზეთის მოსახლეობა მექანიკური მოძრაობის მიზეზითაც იზრდებოდა, მაგრამ აქაც გვმართებს შემდეგი გარემოებები გავიხსენოთ:

ჯერ ერთი, ქართველი მოსახლეობა აფხაზეთში იზრდება ბუნებრივი მატების შედეგადაც, მეორეც, 1926 წლიდან 1979 წლამდე აფხაზეთში ქართველების რაოდენობა გაიზარდა 67 ათასიდან 213 ათასამდე, ე. ი. 3,1-ჯერ, (1886 წელთან შედარებით — 6-ჯერ) სომხებისა — 25 ათასიდან 73 ათასამდე. ე. ი. დაახლოებით 3-ჯერ (1886 წელთან შედარებით კი 67-ჯერ), რუსებისა — 12 ათასიდან 80 ათასამდე, ე. ი. 6,6-ჯერ. როგორც ვხედავთ, აქაც რაიმე უჩვეულო და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მაგრამ აქცენტი მაინც ყოველთვის ქართველების მიმართაა გაკეთებული. მეტიც, იმ ფაქტს, რომ აფხაზების ხვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში დაბალია, მხოლოდ ქართველი მოსახლეობის მექანიკური მატებით ხსნიან, რაც არასწორია.

რადგანაც ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია, შედეგიც უნდა აღვნიშნოთ. 1926 წლის მერე აფხაზეთში ერთი ქართველიც რომ არ დაბადებულიყო და არც საცხოვრებლად გადასულიყო, მაშინ 1979 წელს აფხაზეთის ხვედრითი წილი აფხაზეთის მთელ მოსახლეობაში 17, 1 პროცენტიდან 24,4 პროცენტამდე ამაღლდებოდა. უფრო მეტიც, ამჟამად აფხაზეთში ქართველი მოსახლეობა საერთოდ რომ არ ცხოვრობდეს, აფხაზი მოსახლეობის ხვედრითი წილი აფხაზეთის მთელ მოსახლეობაში მხოლოდ 32 პროცენტი იქნებოდა.

ამავე ასპექტით აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთის ქალაქების მოსახლეობა ძირითადად სხვა რესპუბლიკებიდან შემოსული მოსახლეობის ხარჯზე იზრდებოდა. 1922 წლის აღწერით სოხუმში მცხოვრები 4992 ბერძნიდან 3381 დაბადებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ, 4467 რუსიდან — 3400, ხოლო 1889 სომხიდან — 1123. ანალოგიური მონაცემებით ხასიათდება გუდაუთის მოსახლეობაც.

ერთი არსებითი დემოგრაფიული ცნობაც იმსახურებს ჩვენს ყურადღებას. 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, 601 აფხაზი თვლიდა მშობლიურ ენად ქართულს და 1920 — რუსულს. ამასთან აფხაზების დიდ უმრავლესობას — 90,7 ათას კაცს — მშობლიურ ენად თავისი ეროვნების ენა მიაჩნია, რა თქმა უნდა, ცუდი არაფერია. მაგრამ ცუდი ის არის, რომ მხოლოდ 1452 აფხაზს (1,5 პროცენტი) ფლობს თავისუფლად ქართულ ენას, მაშინ როდესაც რუსულ ენას ასევე თავისუფლად ფლობს 76 ათასი აფხაზი, ანუ 81,5 პროცენტი. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ აფხაზი მოსახლეობის უმრავლესობამ უპირატესობა მიანიჭა რუსულ ენას, როგორც სკოლებში სწავლების ენას. ამის შედეგად აფხაზი ექსტრემისტული და გარეშე ძალების შემწეობით თანდათანობით მოხდა ყოველივე ქართულისადმი ზურგის შექცევა.

რატომ მაინც და მაინც აფხაზეთში მხოლოდ ქართველი მოსახლეობის ზრდაზე ტეხავენ აჟიოტაჟს? საქმე ის არის, რომ აფხაზეთში რამდენიც გნებავთ, სხვა ერის წარმომადგენელი უნდა ცხოვრობდეს, მათ არასოდეს ექნებათ პრეტენზია მკვიდრი მოსახლეობისა. და თუ აფხაზეთში მხოლოდ აფხაზები არიან მკვიდრი მოსახლეობა, ამ შემთხვევაში უკვე იოლია, მათი აზრით, საქართველოსაგან გამოყოფა, რათა „აფხაზეთი დაუბრუნდეს კავკასიის ფედერაციას, ხოლო კავკასიის ფედერაციას დაუბრუნდეს მისი დედაქალაქი — ქალაქი სოხუმი". მათი აზრით, ამ ფედერაციაში უნდა შევიდეს აგრეთვე „ოსეთიც"... რაღა თქმა უნდა, გაერთიანებული". (Газета Кавказ, 1990 г № 1.

ქართველი ხალხის პოზიცია ამ საკითხში გარკვეულია. იგი არასოდეს დაუშვებს თავისი სახელმწიფოებრიობის ხელყოფას. ამასთან ქართველი ხალხი არ აერთიანებს აფხაზი ექსტრემისტების „ნამოღვაწარს" აფხაზ ხალხთან და სურს დაიჯეროს, რომ ის, რაც მოხდა, არ გამოხატავს აფხაზი ხალხის საერთო განწყობას.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა" № 179-180.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ჰიპერინფლაციის საშიშროება

სტოკჰოლმის აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკის ინსტიტუტის პროფესორმა ანდერს ოსლუნდმა, (რომელიც ერთდროულად არის რუსეთის მთავრობის ეკონომიკური საკითხების მრჩეველი) განაცხადა, რომ ამჟამად რუსეთში არსებობს ჰიპერინფლაციის საშიშროება, რასაც, თავის მხრივ, შეუძლია მძიმე შედეგები მოუტანოს რუსეთის მთელ საზოგადოებას. ამ ავტორიტეტული მეცნიერის აზრით, ამის მიზეზია რუსეთის ხელისუფალთა ახლანდელი საფინანსო პოლიტიკა. მარტო უკანასკნელი ორი თვის მანძილზე ფულადი მასა რუსეთში 70-80 პროცენტით გაიზარდა იმის გამო, რომ რუსეთის ცენტრალური ბანკი გაიოლებულად იძლევა კრედიტებს.

ამერიკელი ექსპერტების აზრით

ამერიკის საქმიანი წრეების გაზეთ „ჯორნელ ოფკომერს ენდ კომერშლი" აქვეყნებს გამოკითხული ამერიკელი ექსპერტების აზრს უკრაინის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. მათ მიაჩნიათ, რომ დამოუკიდებელი უკრაინის სვლა საბაზრო ეკონომიკისაკენ და რესპუბლიკა შეიძლება უკან, სამეურნეო ხელმძღვანელობის საბჭოთა მეთოდებისაკენ „დაცურდეს". სამშაბათს გამოქვეყნებულ სტატიაში ხაზგასმულია: რაც შეეხება რეფორმების განხორციელებას, უკრაინა ვერც კი მიუახლოვდა რუსეთს — ქვეყანას, რომლის ტერიტორია სამჯერ და უფრო მეტად დიდია და ყელამდეა სავსე პრობლემებით, რომლებიც დაკავშირებულია უამრავ ეროვნებათაშორის დავასთან, გიგანტურ უცხოურ ვალთან.

საარჩევნო მარათონი

თანდათან ფინიშს უახლოვდება პრეზიდენტის არჩევნების მარათონი ამერიკის შეერთებულ შტატებში. პრეზიდენტი ჯორჯ ბუში კვლავ ჩამორჩება თავის მეტოქეს დემოკრატიული პარტიისაგან, არკანზასის გუბერნატორს ბილ კლინტონს 15 პუნქტით. მიუხედავად ამისა, ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის აზრით, მას მაინც რჩება გამარჯვების შანსი (30 პროცენტი), ნიქსონს მიაჩნია, რომ ახლა მთავარი ყურადღება ჯორჯ ბუშმა სამრეწველო შტატებს უნდა დაუთმოს, სადაც შეუძლია ამრჩევთა კოლეგიის წევრთა მხარდაჭერის მოპოვება, რაც გაანეიტრალებს ხმების შესაძლო დაკარგვას კალიფორნიის შტატში.

კვლავ როს პერო?

ტეხასელი მილიარდელი როს პერო (რომელმაც ამ ორი თვის წინათ, უარი თქვა, დამოუკიდებელ პრეტენდენტად ოფიციალურად დაესახელებინა თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე) შესაძლოა კვლავ ჩაებას წინასაარჩევნო მარათონში. მისი განცხადებით, ეს მოხდება, თუ ჯორჯ ბუში და ბილ კლინტონი სათანადო ყურადღებას არ დაუთმობენ ქვეყნის ყველაზე საჭირბოროტო საკითხს — ფედერალური ბიუჯეტის უმწვავეს დეფიციტს. საზოგადოებრივი აზრის ბოლო გამოკითხვის მიხედვით, პეროს ხმას მისცემს ამერიკელ ამომრჩეველთა 15-20 პროცენტი.

ჟირინოვსკი აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ

„აფხაზეთის კონფლიქტი შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ უნიტარული სახელმწიფოს — რუსეთის იმპერიის ფარგლებში",— განაცხადა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ვ. ჟირინოვსკიმ.

მისი აზრით, საჭიროა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს მიენიჭოთ რუსეთის გუბერნიების — თბილისის, ბაქოს და ერევნის გუბერნიათა სტატუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ომი აფხაზეთში არ შეწყდება, და მთელი რეგიონი მეორე „ლიბანად" გადაიქცევა.

ჟირინოვსკიმ განაცხადა: „სანამ კრემლში იმყოფება ელცინი თავისი რაზმით, — კავკასიაში სტაბილიზაცია არ იქნება. სანამ ელცინი კრემლშია, კავკასიაში იქნება ომი".

იგი შეეხო აფხაზეთში ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრთა რაოდენობას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს საერთო რიცხვის მხოლოდ ერთი პროცენტია. მაგრამ, დასძინა მან, — „ჩვენ აფხაზეთში გვაქვს ორი მილიონი მანეთის ქონება, ჩვენ იქ ვყიდით ავტომობილებს".

ჟირინოვსკი აფხაზეთის კონცერნის „კავკაზის" წევრია, რომელსაც ვინმე ცატურიანი მეთაურობს. ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრთა საერთო რიცხვი კი აფხაზეთში ორიათასს აღემატება.

სამართლიანობის აღდგენის კავშირი —„ხმა ერისა"-ს წინასაარჩევნო განაცხადი

> „ადამიანი დამარცხებისათვის არ არის გაჩენილი, ადამიანი შეიძლება მოსპო, მაგრამ მისი დამარცხება შეუძლებელია".
>
> ერნესტ ჰემინგუეი.

წინათქმა

სამართლიანობის აღდგენის კავშირი — „ხმა ერისა":

— ზრუნავს იმისათვის, რომ საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით, სრულად ასახავდეს ქართული ეროვნული ცნობიერებიდან გამომდინარე იდეალებს;

— გმობს ყოველგვარი ძალადობის გამოყენებას და თავისი მიზნების მიღწევისათვის იბრძვის მხოლოდ სამართლებრივი, მშვიდობიანი და პოლიტიკური საშუალებებით;

— ესწრაფვის საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას, მასში რეალური დემოკრატიული სტრუქტურების დამკვიდრებას და სახელმწიფო მართვაში მონაწილეობას.

1. ის რაც იყო — ვერ შეცვლი

სამართლიანობის აღდგენის კავშირი — „ხმა ერისა":

— მხედველობაში იღებს, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების შედეგად, სამართლიანობის ყველა ნორმის დაცვით, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნების რეალური გათვალისწინებით, მოხდა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევა; აგრეთვე:

— მხედველობაში იღებს, რომ 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმით, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი; აგრეთვე:

— მხედველობაში იღებს, რომ 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებში, კანონიერების სრული დაცვით, პრეზიდენტობის ალტერნატიულ კანდიდატთა შორის, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნებით, მოხდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის არჩევა; აგრეთვე:

— მხედველობაში იღებს, რომ 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში სამხედრო გადატრიალების გზით, მოხდა კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სახელმწიფო სტრუქტურების დაშლა, რითაც შელახულ იქნა, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნება და მათთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლება-მოვალეობანი; აგრეთვე:

— მხედველობაში იღებს, რომ 1992 წლის 2 იანვარს, შექმნილი სამხედრო საბჭოს მიერ უკანონოდ იქნა შეჩერებული „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი)", რამაც სათავე დაუდო კანონიერების სრულ მოშლას საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე; აგრეთვე:

— მხედველობაში იღებს, რომ 1992 წლის 21 თებერვალს სამხედრო საბჭოს მიერ უკანონოდ იქნა აღდგენილი (სინამდვილეში; მხოლოდ დეკლარირებული) 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია იხ. აღნიშნული კონსტიტუციის მუხლი 5, მუხლი 145, მუხლი 147); აგრეთვე:

— მხედველობაში იღებს, რომ მიუხედავად არაერთგზისი მოთხოვნისა, ყურად ეღოთ საქართველოს რესპუბლიკის აბსოლუტური უმრავლესობის ნება, სამხედრო გადატრიალების გზით სახელმწიფო სათავეში მოსულთა მხრივ კანონიერების აღდგენისაკენ არ იქნა გადადგმული არც ერთი ნაბიჯი. კანონიერი ორგანოს მიერ ახალი პარლამენტის არჩევნების დანიშვნა, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი ნდობის ვოტუმის გამოსარკვევად (რეფერენდუმის დანიშვნა და სხვა).

2. ის რაც რეალობაა

უმრავლეს დაძაბულ სიტუაციათაგან, ორი დაპირისპირებული მხარის მიერ მეტნაკლები კომპრომისის გარეშე ძნელია, ხოლო ჩვენი დღევანდელობის გათვალისწინებით, თითქმის შეუძლებელია სწორი და უმტკივნეულო გამოსავლის მოძებნა. არადა, ალბათ კომპრომისი ერთადერთი გზაა, რომელიც საქართველოში არსებულ დაძაბულ სიტუაციას შეცვლის და ასე თუ ისე, სტაბილურობას დაამყარებს, სტაბილიზაციის სათავე და საძირკველი კი ყოველთვის კანონიერების ყოფნაა და ვერც დღევანდელობა იქნება გამონაკლისი. მხოლოდ შიშველ ძალაზე დამყარებული სტაბილიზაცია, რაგინდ გონივრულადაც არ უნდა იყოს იგი შენიღბული, ვერ აცდება ძალის დემონსტრირების აუცილებლობას, რასაც ყოველთვის სისხლისღვრა და ხალხის უკმაყოფილება მოჰყვება.

სამართლიანობის აღდგენის კავშირი — „ხმა ერისა":

— მხედველობაში იღებს, რომ მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების არაკანონიერი ორგანოს მიერ დანიშვნისა, და საარჩევნო დებულებაში საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნების გაუთვალისწინებლობის წინასწარვე დაკანონებისა, (როცა არჩევნების ჩატარებულად ცნობისათვის არ არის აუცილებელი საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარზე მეტის არჩევნებში მონაწილეობა), რაც ქმნის საშიშროებას ამ გზით არჩეული პარლამენტი იყოს არა უმრავლესობის, ხალხის ნების გამომხატველი და მათი ნდობით აღჭურვილი, არამედ მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ვიწრო ფენის ინტერესების დამცველი; აგრეთვე, მხედველობაში იღებს, რომ კავშირი გმობს ყოველგვარი ძალადობის გამოყენებას და თავისი მიზნების მიღწევისათვის იბრძვის მხოლოდ სამართლებრივი, მშვიდობიანი, პოლიტიკური საშუალებებით.

სამართლიანობის აღდგენის კავშირმა — „ხმა ერისა" — მიიღო გადაწყვეტილება, მონაწილეობა მიიღოს ოქტომბერში დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში, რომლესაც დღევანდელობით გამოწვეულ, რეალურად შექმნილ სიტუაციაში, მიიჩნევს სამართლიანობის მშვიდობიანი ფორმებით აღდგენის ერთადერთ, ჩვენთვის ხელმისაწვდომ, საშუალებად.

3. ის რაც იქნება — ჩვენზეა დამოკიდებული

სამართლიანობა უმეტეს შემთხვევაში სადავოა და საკამათო, სამართლის დამრღვევი ძალა კი უდავო და უცილობელი. სამართლიანობა თოთო ბავშვივითაა — ფაქიზი მოვლა და დიდი ყურადღება სჭირდება... ამიტომაცაა, ძალა არ ცნობს და უსუსურად მიიჩნევს მას. სამართლიანობის მოღონიერებამდე კი ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მხოლოდ ძალაა სამართლიანი... და ებრძვის სამართლიანობა უსამართლობის გამომწვევ ძალას.

სამართლიანობის აღდგენის კავშირი — „ხმა ერისა" თავის დასახელებაში ანივთებს ნებისმიერ სფეროში დარღვეული სამართლიანობის აღდგენას, რომელ საქმეშიც გზის გამკვლევად და ორიენტირად სწორედ ერის ხმა, ერის ძახილია, რომელიც ყოველთვის შეუმცდარი და ჭეშმარიტია. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ თითოეული ფაქტი სამართლიანობის დარღვევის აღკვეთისა, ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისაკენ უნდა იყოს მიმართული, მას უნდა ეფუძნებოდეს და იგი უნდა იყოს მთავარი ამოსავალი წერტილი, ამ კავშირში გაერთიანებული ყოველი წევრის მიერ გამოწვეული საქმიანობისა. სამართლიანობის აღდგენის კავშირი — „ხმა ერისა"-ს მთავარი ყურადღება მიმართულია სწორედ ხალხისაკენ, ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით.

სამართლიანობის აღდგენის კავშირს — „ხმა ერისა"-ს მიაჩნია, რომ თითოეული მოქალაქის არჩევნებში მონაწილეობა და საკუთარი ნების ამგვარი ფორმით გამოხატვა, უნდა იქცეს სამართლიანობის აღდგენის ქმედებაში იმ თითო აგურად, რომელიც ჯებირად აღიმართება მოწლევავებული უკანონობისა და უსამართლობის წინაშე.

სამართლიანობის აღდგენის კავშირს — „ხმა ერისა"-ს მიაჩნია, რომ საქართველოს მოსახლეობა ბოლომდე უნდა ჩაწვდეს იმ აუცილებლობის გათავისებას, რომელსაც საკუთარი ქვეყნის, ენისა თუ სარწმუნოების რეალური ბატონ-პატრონობა ჰქვია. ისევ უნდა აღიდგინოს შერყეული რწმენა იმისა, რომ იგი არის და უნდა იყოს ქვაკუთხედი სახელმწიფო ხელისუფლების ყოველგვარი სტრუქტურისა, ყველამ უნდა გაიცნობიეროს, რომ ქვეყნის ბედი ამომრჩევლების ხელში უნდა იყოს.

სამართლიანობის აღდგენის კავშირს — „ხმა ერისა"-ს მიაჩნია, რომ თუ საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერით, ჩვენი კავშირის მიერ დასახელებული დეპუტატობის კანდიდატები არჩეული იქნებიან საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა ყველა მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდეს ისე, როგორც ამას ერის ინტერესები მოითხოვს, ანუ მოხერხდეს სამართლიანობის დაცვა ხალხის ნების გათვალისწინებით.

დეკემბერ-იანვარში დატრიალებულმა ტრაგედიამ ადამიანთა ორი, მკვეთრად განსხვავებული და ურთიერთდაპირისპირებული აზრი კიდევ უფრო დაუპირისპირა ერთმანეთს. ორივე მხარეს მიაჩნია, რომ სიმართლე მის მხარეზეა, და რაც მთავარია, თავის გარშემო გაერთიანებულს ხედავს სწორედ საქართველოში მცხოვრებთა უმრავლესობას. ასეთ სიტუაციაში საჭიროა გონივრული კომპრომისი და ერის გაერთიანება. ორივე მხარის გაერთიანება კი შეიძლება მოხდეს მხოლოდ კანონიერების საფუძველზე და ის, ვინც მომავალ არჩევნებში გაიმარჯვებს (და ასეთნი, ღრმად გვწამს, ორივე მხრიდან იქნებიან) შეუდგება იმ უმძიმესი ტვირთის ტარებას, რასაც პატიოსან არჩევნებში მოპოვებული გამარჯვების უფლება იძლევა.

ერის ხმაშია ყოველი სამართლიანობის აღდგენისათვის საჭირო ძალა, სამართლიანობის აღდგენისათვის მებრძოლი კი მხოლოდ მისსავე მსგავსს შეიძლება მოსწონდეს. ამიტომ, არ შეიძლება, თავი შეაყვარო მას, ვისაც საერთოდ ეზიზღება ყოველგვარი სამართალი... შენი თავი შეიძლება შეაყვარო მხოლოდ იმას, ვისაც თავის მტრად არ მიაჩნიხარ.

სამართლიანობის აღდგენის კავშირი — „ხმა ერისა" — სამართლიანობისათვის მებრძოლთა ის კავშირია, რომლის საქმიანობა დროისა და სივრცის ჩარჩოში არ იფარგლება და რამეთუ ადამიანის დამარცხება შეუძლებელია, მოდით, გვეყოს გონი და ნუ მოვსპობთ ერთმანეთს...

ღმერთი იყოს ჩვენი და სრულიად საქართველოს შემწე!

აქტუალური ინტერვიუ

მზაკვრული იდეა

„საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტს ერთ საჭირბოროტო საკითხზე ესაუბრება რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი, პროფესორი ნოდარ ლომოური.

— ბატონო ნოდარ, 20 აგვისტოს „სვობოდნაია გრუზიაში" თქვენ გამოაქვეყნეთ რუკა, რომელსაც თურქული წარწერები ჰქონდა და რომელზედაც არარსებული სახელმწიფო — „ჩრდილოეთი კავკასია" არის გამოსახული. ვფიქრობთ, ამ რუკის სათანადო კომენტირება საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველებისთვის.

— ამ რუკას „სვობოდნაია გრუზიაში" ახლდა კომენტარი, მაგრამ დღეს ვითარება იმდენად მკვეთრად გართულდა, იმ კომენტარში მხოლოდ მოსალოდნელ საშიშროებად დასახული, დღეს იმდენად საშინელ რეალობად იქცა, რომ ის კომენტარი აღარაა საკმარისი. ზოგ რამეს მაინც გავიმეორებ: წინამდებარე რუკა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ლია ჩლაიძემ იპოვა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ყოფილი თავმჯდომარის, განსვენებული მეცნიერის, პროფესორ ოთარ გიგინეიშვილის პირად არქივში. მანვე მიაკვლია აქ მასალებს, რომლებიც ხსნიან ამ რუკის რაობას. როგორც ირკვევა, 60—70-იან წლებში, თურქეთში არაერთგზის ყოფნისას, ო. გიგინეიშვილი გასცნობია ჩრდილოკავკასიელი ხალხების (ადიღეელების, შაფსუღების, ჩერქეზების, ყაბარდოელების, ჩეჩნების და ა. შ.) სხვადასხვა საზოგადოების ხელმძღვანელებსა და წევრებს. ამ ხალხებს თურქეთში საერთო სახელად „ჩერქეზებს" უწოდებენ და მათ მიეკუთვნებიან, სხვათა შორის, აფხაზებიც. აი, ამ „ჩერქეზთა" საზოგადოებების ზოგიერთ წარმომადგენელს კარგა ხანია შეუმუშავებია „ჩერქეზთა", ე. ი. პრაქტიკულად ყველა ჩრდილოკავკასიელი ხალხის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების, აგრეთვე „საერთოჩერქეზული" სალიტერატურო ენის შექმნის იდეა.

— რატომ გვაწუხებს ჩვენ ეს იდეა, ან რა უნდა გვქონდეს კავკასიელი ხალხების გაერთიანების, თუნდაც მათი ერთიანი სახელმწიფოს შექმნის გეგმის საწინააღმდეგო?

— თავისთავად ჩვენ ამგვარი გეგმების საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს, მაგრამ როდესაც ეცნობი იმ ხალხების ნუსხას, რომლებიც ამ ჩრდილოკავკასიურ „ჩერქეზულ" რესპუბლიკაში უნდა შესულიყვნენ, ძნელია არ შეშფოთდე და არ აღშფოთდე. ამ რესპუბლიკაში, მისი იდეოლოგების მიხედვით, სხვა ხალხებთან ერთად შეყვანილი არიან აფხაზები და ოსები. სწორედ ამ რესპუბლიკის სავარაუდო ტერიტორიაა დაფიქსირებული წინამდებარე რუკაზე. აქ აღნიშნულია სახელმწიფო „კუზეი კავკასია" ანუ „ჩრდილოეთი კავკასია"; იგი გადაჭიმულია კასპიის ზღვის სანაპიროდან შავ და აზოვის ზღვებამდე, მოიცავს მთელ ჩრდილოეთ კავკასიას და ნაწილობრივ ამიერკავკასიასაც, ამ სახელმწიფოს ჩრდილოეთით აღნიშნულია „რუსია", სამხრეთით კი მოყოლილია პაწაწინა „გურჯისტანი".

კარგად დააკვირდით ამ რუკას, კერძოდ „კუზეი კავკასია"-ს სამხრეთ საზღვარს: იგი იწყება კასპიის ზღვასთან, შემდეგ მიჰყვება კავკასიონს, მაგრამ არა მთავარ ქედს, არამედ ბევრად სამხრეთით, ისე, რომ საქართველოს მთიანეთი ამ საზღვრის გადაღმა რჩება. შემდეგ საზღვარი სამხრეთ-დასავლეთით უხვევს და ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკის ფარგლებში მოქცეულია რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი და დღევანდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა.



— ბატონო ნოდარ, ხომ არ ეხმაურება ეს რუკა დღევანდელი „მთიელ ხალხთა კონფედერაციის" ლიდერების გეგმებს?

— ეს უდავოა. ამ რუკის გამოქვეყნება სწორედ იმიტომ ჩავთვალე აუცილებელ და საშურ საქმედ, რომ იგი ილუსტრაციაა იმ იდეისა, რომელიც თქვენს მიერ დასახელებული „კონფედერაციის" და მის მხარდამჭერთა ლიდერებს აქვთ გამომუშავებული. ჩვენმა მკითხველებმა, ფართო საზოგადოებამ ამ რუკით თვალნათლივ შეიძლება დაინახონ, როგორ აქვთ წარმოდგენილი კავკასიის მომავალი ზემოაღნიშნულ ლიდერებს, როგორ უბოდიშოდ აჭრიან ისინი საქართველოს, მის ძირძველ ისტორიულ მიწა-წყალს. 60-70-იან წლებში ჩერქეზთა ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკის შექმნის იდეა მეტად არარეალური ჩანდა და ერთგვარი ავანტიურისტული ცელფერი დაჰკრავდა, მაგრამ დღეს იგი ხორცს ისხამს და უწინარესად ჩვენ ვიწვნიეთ მისი რეალიზაციის ცდის ტრაგიკული შედეგები, ამას ეწირებიან ჩვენი ახალგაზრდების საუკეთესო წარმომადგენლები. კავკასიის ხალხებთან ყოველმხრივი მეგობრული კონტაქტები აუცილებელი და მისასალმებელია, მაგრამ იქ მოქმედებენ ისეთი ძალებიც, რომელთა გამარჯვება ჩვენ მხოლოდ უბედურებას მოგვიტანს. სწორედ ამ ძალების წარმომადგენელია იგივე დუდაევი. რამდენსაც უნდა ეცადოს იგი მათ გაემიჯნოს, ამ ძალებთან აღმოჩნდა შეკავშირებული ვლადისლავ არძინბაც და, რაც ყველაზე ამაზრზენია, პირადი ინტერესების კარნახით მათ ორბიტაში მოუქცა ჩვენი „ერის დიდი მოამაგე" გამსახურდიაც.

მგონია, სხვა კომენტარი ზედმეტია.

სიმართლე კი ასეთია

დეზინფორმაცია, რომელიც ვიღაცას სჭირდება

8 სექტემბერს „იბერია-სპექტრში" გაზეთ „Московский комсомолец"-იდან (სტილი დაცულია) გადმობეჭდა სტატია „Фонд Горбачева всучил «завернутые» Москвой вакцины Шеварднадзе" („გორბაჩოვის ფონდმა მოსკოვში „შეფუთული" ვაქცინები შეაჩეჩა შევარდნაძეს"). ამ გაზეთიდან გადმობეჭდილ მასალას ბევრი წაიკითხავდა, მით უმეტეს, როცა იგი „იბერია-სპექტრში" იბეჭდება.

ამიტომ მის შინაარსს დაწვრილებით აღარ გავიმეორებთ. დაინტერესებულ პირთათვის მოკლედ ვიტყვით, რომ წერილში ლაპარაკია ამერიკელების მიერ გორბაჩოვის ფონდისთვის გადაცემულ 400 ათას დოზა სხვადასხვა სახის (ყივანახველა-დიფთერია-ტეტანუსის, წითელას, პოლიომიელიტისა და ტუბერკულოზის საწინააღმდეგო) ვაქცინაზე, რომელიც ვადაგასული აღმოჩნდა. ვაქცინა მოსკოველმა სპეციალისტებმა არ მიიღეს, საქართველომ კი გულში ჩაიკრა, უფრო მეტიც, თითქოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრმა ბატონმა ირაკლი მეგრელაძემ ამ საჩუქარს ფასდაუდებელი უწოდა.

საკვირველია, რატომ გადმობეჭდა „იბერია-სპექტრმა" თავის ნომერში ყოვლად შეუმოწმებელი წერილი! დავიჯეროთ, ეს მას უყურადღებობით მოუვიდა? არა, წერილის გადმობეჭდვას თავისი მიზანი ჰქონდა და სამწუხაროც სწორედ ეს არის. ასე რომ არ ყოფილიყო, გაზეთის თანამშრომელი შესაბამის დაწესებულებაში მივიდოდა, ფაქტების სისწორეს შეამოწმებდა და თუ შემდეგ საჭიროდ ჩათვლიდა, წერილს გადმობეჭდავდა. მით უმეტეს, როცა საქმე ადამიანების, ბავშვების ჯანმრთელობას ეხება.

სწორედ ამას ჰქვია „დეზინფორმაცია", რომელიც არავის სჭირდება და მხოლოდ მკითხველთა გარკვეული წრისათვის არის გამიზნული.

სინამდვილეში კი საქმე შემდეგნაირად იყო:

ვაქცინების საქართველოში ჩამოტანისთანავე რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სპეციალისტებისათვის ცნობილი გახდა, რომ ნაწილი ვაქცინებისა ვადაგასული იყო. ამის შესახებ სამინისტრომ იმავე დღეს აცნობა გორბაჩოვის ფონდის წარმომადგენელს ბატონ გლესკინს და ფონდის დირექტორს ბატონ ბონდარს (წერილის № 01.01.384). წერილში სამინისტრომ გამოთქვა სურვილი, რომ შემდგომში, ანალოგიური გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, სასურველი იქნებოდა, პირველსავე ეტაპზე ვაქცინებისა და მედიკამენტების მიღებაში მონაწილეობა მიეღოთ შესაბამისი სამსახურის სპეციალისტებს.

მკითხველი კი კიდევ ერთხელ გვინდა დავარწმუნოთ, რომ აღნიშნული ვაქცინები ჯანმრთელობის სამინისტროს არც გამოუყენებია და მათ გამოყენებას არც აპირებს.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პრესცენტრი.

თითო აბზაცით

- ● **ბოსნია-ჰერცეგოვინის** საკონსტიტუციო სასამართლომ უკანონოდ გამოაცხადა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხორვატიის თემის არსებობა, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის მეოთხედზე მეტი უკავია.
- ● **ევროპის** ეკონომიკური გაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრებმა დასვეს საკითხი არ მიიჩნიონ დღევანდელი იუგოსლავიის კავშირი (სერბიისა და ჩერნოგორიის შემადგენლობა) ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციის სამართალმემკვიდრედ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მოვლენის წინ



მაშ, ლაღად, „ოქროს არწივო“!

19-26 სექტემბერს დამოუკიდებელი საქართველო პირველ ოფიციალურ საერთაშორისო კინოფესტივალ-კონკურსს მართავს. ეს არის უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა არა მარტო ჩვენი ეროვნული კინოს, არამედ, საერთოდ, ჩვენი კულტურის ცხოვრებაში.

კინოფესტივალს „ოქროს არწივი“ ჰქვია. ვისურვოთ, რომ ახლადფეხადგმული „ოქროს არწივი“ მალე „ოსკარს“ გაუტოლდეს და, ამჯერად, სიტყვა მივცეთ მის დირექტორს ბოჩა აბაშიძეს, რომელსაც ესაუბრება ჩვენი კორესპონდენტი თამარ წურწუმია.

— როგორ დაიბადა ფესტივალ-კონკურსის ჩატარების იდეა?

— მოგეხსენებათ, რომ ამერიკის კინოაკადემია ყოველწლიურად ატარებს კონკურსს „ოსკარის“ სახელწოდებით. აქ ხდება წლიური კინოპროდუქციის შეჯამება და საუკეთესო ფილმების დაჯილდოება. ეს კონკურსი უაღრესად პრესტიჟულია და მასში მონაწილეობაც კი დიდ დაფასებას ნიშნავს.

„ოსკარის“ პოპულარობა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ სხვა ქვეყნებშიც ჩაუყარეს საფუძველი შესაბამის კონკურსებს. საფრანგეთში მას „ცეზარი“ დაერქვა, რუსეთში „ნიკა“, მთელი ევროპის მასშტაბით კი „ფელიქსი“.

საქართველოში იდეა მსგავსი კონკურსის ჩატარების დიდი ხანია დაიბადა, მაგრამ ადრე, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მასშტაბურად არ განხორციელებულა.

და აი, ჩემი აზრით, დღეს უკვე გაჩნდა საშუალებანი ამ ოცნების რეალური განხორციელებისა. მე გავუზიარე ჩემი იდეა რამდენიმე მეგობარს (ისინი პროფესიონალი კინემატოგრაფისტები არიან) და საქმეც ადგილიდან დაიძრა... თავდაპირველად ტელევიზიის შემოქმედებითი გაერთიანება „სხივი“ შემოგვიერთდა, შემდეგ ჩვენი კინოკორპორაციის „ქართული ფილმის“ პრეზიდენტს, ბატონ რეზო ჩხეიძეს გავანდეთ ჩანაფიქრი. მისმა და კინოკავშირის თავმჯდომარის ელდარ შენგელაიას მხარდაჭერამ ფესტივალ-კონკურსს რეალური კონტურები შესძინა.

— რა მიზნებს ისახავს ფესტივალი?

— ჩვენ რთულ, გაუწონასწორებელ დროში ვცხოვრობთ. იმდენად არის ხალხის არსებობა დათრგუნული ფიზიკური გადარჩენის შიშით და მატერიალური შეჭირვებით, რომ ზეიმის მოწყობა მართლაც საშურ საქმედ გვეჩვენება. ფესტივალის უპირველეს მისიად გვესახება სწორედ ერის სულიერი ცხოვრების მოწესრიგება, მისი კულტურით, ხელოვნებით მძაფრი დაინტერესება...

— ნებისმიერი იდეის განსახორციელებლად მატერიალური საფუძველია საჭირო. ვინ გეხმარებათ ფესტივალის ორგანიზებაში, გაქვთ თუ არა ფინანსური პრობლემები?

— ჩვენი კინოტელეკომპანია „ოქროს არწივი“ (იგი შემოქმედებითი ფირმა „ვეზირის“ საფუძველზე ჩამოყალიბდა) ყოველთვის გრძნობდა საქართველოს „სამეფო ბანკის“ მხარდაჭერას. ფესტივალის ორგანიზაციის უმთავრესი ხარჯები სწორედ „სამეფო ბანკმა“ გაიღო — საორგანიზაციო ხარჯებით დაწყებული საპრიზო ფონდით დამთავრებული. „სამეფო ბანკის“ მმართველის მოადგილემ კახა გიუაშვილმა შესანიშნავად იცის ქართული კინოს და საერთოდ ხელოვნების ფასი. ჩვენ შორს ვდგავართ იმ აზრისგან, რომ თანხა, რომელიც „სამეფო ბანკმა“ გაიღო, მას ამავე ფესტივალზე დაუბრუნდება. შესაძლოა, არც მომავალი ფესტივალ-კონკურსები იყოს ფინანსურად მომგებიანი, მაგრამ „სამეფო ბანკმა“ თავიდანვე სულიერი ღირებულებები დააყენა მატერიალურზე მაღლა და ამისათვის ულრმეს მადლობას ვუძღვნით. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს ორგანიზაცია ფესტივალის ერთ-ერთ დამფუძნებლად გვევლინება.

ასევე უანგაროდ დაგვეხმარა „ივერთბანკი“ და მისი მმართველი ოთარ თოხაძე. მან სრულიად უყოყმანოდ გაიღო საკმაოდ სოლიდური თანხა ფესტივალის ორგანიზაციისათვის.

ფესტივალის სტუმრებს ღირსეული მასპინძლობა სჭირდება: სასტუმროები, ჭამა-სმა, ტრანსპორტი, მგზავრობა...

ვაპირებთ ცნობილ უცხოელ რეჟისორთა ფილმების პრემიერების ჩვენებას. სურვილი გვაქვს, ერთი დღე დავუთმოთ ბავშვებს და საბავშვო კინოპროგრამასთან ერთად, მოვაწყოთ ზეიმი პატარებისათვის. ასევე გვინდა ჩავატაროთ სერგო ფარაჯანოვისა და ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა. კინოკორპორაციასთან ერთად დავგეგმეთ ფარაჯანოვის სახლ-მუზეუმზე მემორიალური დაფის გაკვრა...

— რა სტადიაშია მზადება, რა ფილმებია საკონკურსოდ შერჩეული?

— უპირველეს ყოვლისა, შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებულია პროფესიონალებით. გაწეულია გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები: მოვიწვიეთ სტუმრები სხვადასხვა ქვეყნიდან; „ოქროს არწივის“ ჩატარების საკითხი დასმული იქნა სახელმწიფო საბჭოსა და რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, რომელთაც ყოველგვარი დახმარება აღგვითქვეს და დაავალეს სამინისტროებსა თუ უწყებებს პირდაპირი, საქმიანი თანადგომა გაეწიათ ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტისათვის. იბეჭდება მოსაწვევები, ბუკლეტები, აფიშები. გადაღებულია სარეკლამო ფილმი. შექმნილია ფესტივალის მთავარი პრიზის „ოქროს არწივის“ ესკიზი.

და რაც მთავარია, შესარჩევმა ჟიურიმ ივლისის ბოლოს დაამთავრა მუშაობა და საკონკურსოდ წარადგინა შემდეგი ფილმები:

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კატეგორიით:

1) **„უძინართა მზე“** — რეჟისორი **თემურ ბაბლუანი;**
2) **„შვიდკაცა“** — რეჟისორი **სოსო ჩხაიძე;**
3) **„ღამის ცეკვა“** — რეჟისორი **ალეკო ცაბაძე;**
4) **„ნოე“** — რეჟისორი **ნოდარ მანაგაძე;**
5) **„რჩეული“** — რეჟისორი **მიხეილ კალატოზიშვილი;**
6) **„ისინი“** — რეჟისორი **ლევან ზაქარეიშვილი;**
7) **„ალყა“** — რეჟისორი **ომარ გვასალია;**
8) **„დღეს“** — რეჟისორი **ლევან ღლონტი** (დებიუტი);
9) **„მერცხლები და ბელურები“** — რეჟისორი **დავით ურუშაძე** (დებიუტი);
10) **„იქ, ჩვენთან“** — რეჟისორი **ზაზა ხალვაში;**
11) **„ვირთხა“** — რეჟისორი **პაატა მილორავა.**

მოკლემეტრაჟიანი და ანიმაციური ფილმების კატეგორიით მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები:

1) **გზაჯვარედინი“** — რეჟისორი ლევან კიტია (დებიუტი);
2) **„სტუმრები“** — რეჟისორი დიტო ცინცაძე;
3) **„მინის კალენდარი“** — რეჟისორი თემურ ცაავა (დებიუტი);
4) **„სტუმარი** — რეჟისორი თემურ ბუტიკაშვილი (დებიუტი).

ანიმაციური ფილმები:

1) **„მოლოდინი“** — რეჟისორი **დათო თაყაიშვილი;**
2) **„ქვედა პალეოლითი“** — რეჟისორი **დავით სიხარულიძე;**
3) **„ალიყური“** — რეჟისორი **ბონდო შოშიტაიშვილი.**

— იქნებ პრიზებზე გვითხრათ ერთი-ორი სიტყვა...

— ფესტივალზე დაწესებულია:

1) მთავარი პრიზი გრან-პრი — „ოქროს არწივი“ — ასი ათასი მანეთი;
2) პრიზები: „საუკეთესო რეჟისურისათვის“ — ორმოცდაათი ათასი მანეთი;
3) „საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ან ანიმაციური ფილმისათვის“ — ორმოცი ათასი მანეთი;
4) „საუკეთესო ორიგინალური სცენარისათვის“ — ორმოცი ათასი მანეთი;
5) „საუკეთესო ოპერატიული ნამუშევრისათვის“ — ორმოცი ათასი მანეთი;
6) „საუკეთესო მხატვრული გაფორმებისათვის“ — ოცდაათი ათასი მანეთი;
7) „მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის“ — ორმოცი ათასი მანეთი;
8) „ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის“ — ორმოცი ათასი მანეთი;
9) „საუკეთესო სადებიუტო ფილმისათვის“ — ოცი ათასი მანეთი;
10) „საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისათვის“ — ოცი ათასი მანეთი;
11) „ხმის ოპერატორის საუკეთესო ნამუშევრისათვის“ — ათი ათასი მანეთი;
12) „საუკეთესო მონტაჟისათვის“ — ათი ათასი მანეთი;
13) „ფილმის საუკეთესო დირექტორისათვის“ — ათი ათასი მანეთი.

— როგორ გესახებათ „ოქროს არწივის“ მომავალი?

— „ოქროს არწივი“ მოეწყობა რეგულარულად, ორ წელიწადში ერთხელ, სექტემბერში, ქალაქ თბილისში და მასზე შესაბამისად წარმოდგენილი იქნება ბოლო ორი წლის კინოპროდუქცია. რადგანაც ეს ფესტივალი პირველია და მისი ჩატარების გამოცდილება ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს, არ არის გამორიცხული, რომ მის ორგანიზებაში ხარვეზები გვქონდეს, მაგრამ მომავალში ჩვენ ყოველმხრივ შევეცდებით ისინი აღარ განმეორდეს. ამასთანავე, იმედი გვაქვს, „ოქროს არწივი“ თანდათან უფრო პოპულარული და დახვეწილი გახდება, გაუტოლდება მსოფლიოს ცნობილ კინოფესტივალებს.

— ღმერთმა ქნას!..

სხვა გაზეთებიდან

„რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, საქართველო ევროპის დონეზე იქნებოდა“

ამ ბოლო დროს საქართველოში სოკოსავით მომრავლდა ერთობლივი საწარმოები. დღეს ერთ მათგანს, ქართულ-ესპანურ ერთობლივ საწარმო „ივერია ფრუთსს“ გაგაცნობთ. იგი ამ ორიოდე წლის წინათ ჩამოყალიბდა ესპანელი ბიზნესმენის, ფირმა „კების“ გენერალური დირექტორის ბატონ დანიელ ესპელეტასა და ანასეულის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მაშინდელი დირექტორის, ბატონ რეზო ჯინჯოლიას ინიციატივით. საწარმოს ძირითადი მიზანი საქართველოში კივის პლანტაციების გაშენება იყო. ეს ეგზოტიკური ხილი ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია მსოფლიო ბაზარზე. ამჟამად, გურიაში 56 ჰექტარზეა გაშენებული კივის პლანტაცია, პერსპექტივაში კი 200 ჰექტარია ასათვისებელი.

კივის გაშენების გარდა, „ივერია ფრუთსი“ სხვა მრავალმხრივ საინტერესო საქმიანობასაც ეწევა. საწარმო მონაწილეობას იღებს ევროპის თანამეგობრობის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლის მიზანია ნიგერიაში ჩაის პლანტაციების განახლება და ახალი პლანტაციების გაშენება. ამ პროექტის სარეალიზაციოდ, ევროპის თანამეგობრობამ 28 მილიონი ეკიუ გამოჰყო. ქართულ-ესპანურმა ფირმამ უკვე წარმატებით გაიარა კონკურსის პირველი ტური და ოქტომბრის დასაწყისში ოთხ სხვა ფირმასთან ერთად, წარსდგება კომისიის წინაშე.

სწორედ ამ და სხვა საკითხებზე საქმიანი მოლაპარაკებისათვის, ბასკეთის მთავრობის მიწვევით, ესპანეთში იმყოფებოდნენ ერთობლივი საწარმოო „ივერია ფრუთსის“ გენერალური დირექტორი, ბატონი შალვა ცეცხლაძე, ოზურგეთის ჩაის აუქციონის გენერალური დირექტორი ბატონი გიორგი ჯიჯიეშვილი და დამოუკიდებელი ტელეკომპანია „იბერვიზიის“ კორესპონდენტი თეა გვასალია, რომელიც ესპანეთში თარჯიმნის მოვალეობასაც ასრულებდა.

აი, რას წერდა მათი ვიზიტის შესახებ გაზეთი „ნავარა ოი“ (ნავარა დღეს).

ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთი რესპუბლიკის დელეგაციამ ბასკეთის ავტონომიაში ჩასვლამდე გზად მოინახულა ნავარა. ისინი ეკონომიკური გაცვლებისათვის ამზადებდნენ საფუძვლებს.

— კომუნისტური რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, საქართველო ევროპის დონეზე იქნებოდა, — ასე თვლის ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი შალვა ცეცხლაძე. საქართველოში, სსრკ-ს სხვა რესპუბლიკების მსგავსად, არეულობაა, რაც ნელ-ნელა წყნარდება შევარდნაძის ჩასვლის შემდეგ.

ბასკეთის მთავრობასა და ალსასუას ქალაქის თავის, ხოსე მანუელ გოიკოეჩეს მოწვევით, პამპლონაში იმყოფებიან შალვა ცეცხლაძე, ოზურგეთის ჩაის აუქციონის გენერალური დირექტორი გიორგი ჯიჯიეშვილი და ჟურნალისტი და თარჯიმანი თეა გვასალია.

მათი მისიაა მოამზადონ საქართველოს მთავრობის დელეგაციის ვიზიტი ბასკეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელიც შედგება შემოდგომაზე, ეკონომიკური თანამშრომლობის მიზნით. ამ ურთიერთობას გასულ წელს ჩაეყარა საფუძველი, საქართველოში კივის პლანტაციების გაშენების შემდეგ.

გასულ კვირას, საქართველოს სახელმწიფო საბჭომ შევარდნაძის მეთაურობით, ამნისტია გამოუცხადა განდევნილი პრეზიდენტის, გამსახურდიას მომხრეებს. გასულ წელს მათთან შეტაკებისას, საკმაოდ დაიღვარა სისხლი. „არ არსებობს ქვეყანა, ტოტალიტარული რეჟიმიდან პირდაპირ დემოკრატიულ წყობაზე მშვიდობიანი გზით რომ გადავიდეს. გამონაკლისი არც ჩვენთან ყოფილა. მაგრამ სიტუაცია ნელ-ნელა მშვიდდება და არჩევნების შემდეგ, რომელიც ოქტომბრისთვისაა დაგეგმილი, ალბათ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება“ — ამბობს შალვა ცეცხლაძე.

ეს, მისი აზრით, შევარდნაძის დამსახურებაა. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ეროვნებით ქართველია, იგი გამსახურდიას რეჟიმის დამხობის შემდეგ ჩაუდგა სათავეში სახელმწიფო საბჭოს. უმაღლესი რანგის პოლიტიკოსია, ამჟამად მხოლოდ მას ძალუძს თავის გარშემო შემოიკრიბოს სხვადასხვა პოლიტიკური ძალები. შევარდნაძე დიპლომატიური გზებით ცდილობს ოსეთის და აფხაზეთის რეგიონული პრობლემის გადაჭრას და საქართველოსთვის საერთაშორისო აღიარების მოპოვებას. „უახლოეს ათ წელიწადში მას ვერავინ შეცვლის“, — ასკვნის შალვა ცეცხლაძე. მისი აზრით, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება უდავოდ დააჩქარებს ეროვნული და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრას. ამ მხრივ, საქართველოს ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან შედარებით, ბევრად უკეთ აქვს საქმე. მისი ბუნებრივი სიმდიდრეები და პერსპექტიული ურთიერთობები საზღვარგარეთის ქვეყნებთან კიდევ უფრო აჩქარებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.

როგორც ჩაის ინსტიტუტის დირექტორი ამბობს (ამ დაწესებულებაში 6 ათასი კაცი მუშაობს („რუსეთში რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, რის შედეგად, რუსეთმა დამოუკიდებლობისა და აყვავების გზაზე დამდგარი საქართველო დაიპყრო, ჩვენი ქვეყანა ევროპულ დონეზე იცხოვრებდა“. ამჟამად საქართველო ნელ-ნელა უბრუნდება დამოუკიდებლობისა და ნორმალური ცხოვრების გზას. მისი ტერიტორია 70.000 კვადრატულ კილომეტრს მოიცავს, მოსახლეობა კი ხუთ მილიონს აჭარბებს. ამ პატარა ქვეყანას საუკუნეების მანძილზე არ ასვენებდნენ მუსულმანური ქვეყნები, უკანასკნელი ორი საუკუნე კი ჩრდილოეთელი მეზობელი — რუსეთი.

პირინეელი ძმები

1918-1921 წლებში საქართველომ წესიერად ვერც მოასწრო ნანატრი თავისუფლებით დატკბობა, როცა საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო და ძალით შეიერთა. ჩვენ დიდი წარსულის მქონე პატარა ერი ვართ. მთელი ჩვენი არსებობის მანძილზე დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ვიბრძოდით. ჩვენი მზერა ყოველთვის იყო მიმართული პირინეებისკენ, სადაც ზოგიერთი მეცნიერული ჰიპოთეზის და გადმოცემის თანახმად, ჩვენი ძმები — ბასკები ცხოვრობდნენ.

როგორც ამბობენ, მრავალი საუკუნის წინ, საქართველოდან წასული ხალხი პირინეებში დასახლდა ან პირიქით მოხდა. ეს ჰიპოთეზა ჩვენში იმდენად პოპულარულია, რომ ნებისმიერ სოფელში მოგიყვებიან ჩვენი და ბასკების ნათესაური ურთიერთობის შესახებ, — ამბობს თეა გვასალია. იგი ამჟამად დამოუკიდებელ ტელეკომპანია „იბერვიზიაში“ მუშაობს. პამპლონის უნივერსიტეტში სწავლისას, მან თავისი არხისთვის მოამზადა გადაცემა ჩვენი სახელგანთქმული ფიესტის შესახებ. ახლა კი გადაცემათა ციკლს ამზადებს ნავარაზე.

გაზეთი „ნავარა ოი“,
1992 წელი, 7 აგვისტო.

• • •



Navarra hoy

Confiesa que m
a su mujer a
martillazos en
Uharte Arakil

Navarra

“Georgia tendría nivel europeo si no hubiera existido la revolución”

Una comisión de la ex-república soviética visita Navarra, de paso hacia la Comunidad Autónoma Vasca, para incrementar los intercambios económicos

Alquiladas 7
para asisten
plan de form
en euskera

Investigación
sobre la socied
pamplonesa de
XVI, XVII y XVIII

სურათზე: ესპანური გაზეთის „ნავარა ოი“-ს გვერდი, სადაც დაიბეჭდა ეს წერილი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და 'საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

სახალხო თეატრის პრემიერა

ზესტაფონის სარაიონო კულტურის სახლის სახალხო თეატრმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა გ. გოგნიაშვილის კომედია „მეცამეტე შეხვედრა“, რომლის პრემიერა შედგა შორაპნის კულტურის სახლის სცენაზე.

სპექტაკლი დადგა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გურამ წერეთელმა, მხატვარია ნოდარ მექოშვილი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის დოდო მერკვილიშვილს.

როლებს ასრულებდნენ კულტურის დამსახურებული მუშაკი იური მჭედლიძე, მსახიობები როლანდ ხიჯაკაძე, გივი კახნიაშვილი ნატო ფუტკარაძე, ელნარ ხვედელიძე და სხვა.

სპექტაკლმა მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. დამსწრე საზოგადოებამ საჩუქრები გადასცა წარმოდგენის მონაწილეებს.

ჰენრი შარიქაძე.

საღვთო სჯული და სათნოება

ახალ სასწავლო წელს სიღნაღის რაიონის განათლების კერებს ორი ახლებური სასწავლებელი შეემატა — წმინდა ნინოს და წმინდა სტეფანეს მონასტრების სათნოებისა და პედაგოგიური სასწავლებლები.

ამ ორ სასწავლებელს საერთო ის აქვს, რომ მოსწავლეები სრულყოფილად შეისწავლიან საღვთო სჯულს. სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ყმაწვილებს შეუძლიათ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ასწავლონ საღვთო რჯული.

სასწავლებლები აგრეთვე ამზადებენ სათნოების დებსა და მედდებს

ვახტანგ გოზალიშვილი.

საქართველოს ტერიტორიაზე „ზამთრის დროის“ შემოღების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

შეიცვალოს მიმდინარე წლის 27 სექტემბრის ღამის 3 საათიდან, რესპუბლიკაში დროის აღრიცხვა და გადაიწიოს საათის ისარი ერთი საათით უკან.

გამოსათხოვარი

ბიძინა გორგაძე



გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, შესანიშნავი პიროვნება, საზოგადო მოღვაწე ბიძინა გორგაძე.

ბიძინა ეკუთვნოდა ქართველ მხატვართა იმ თაობას, რომელთა შემოქმედებითი ცხოვრება ე. წ. სოცრეალიზმის პერიოდში, ცდილობდა ხელშესახებად წარმოეჩინა ქართული მხატვრობის განვითარების გზა და ამ გზაზე მათი პოტენციური შესაძლებლობა. წლების მანძილზე, ბატონი ბიძინა არა მარტო თავისი შემოქმედებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით ცდილობდა მაქსიმალურად ხელი შეეწყო ქართული მხატვრობის ახალი თაობის ე. წ. 50-იანელთა და 60-იანელთა გაბედული შემოქმედებითი ექსპერიმენტებისათვის და ყოფილიყო უშუალო მონაწილე ამ თაობის შემოქმედებითი გამარჯვებისა. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს სამხატვრო ფონდის გამგეობას, იყო მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, უშუალო მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკის შემოქმედებით ცხოვრებაში. სისტემატიურად მონაწილეობდა, როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო გამოფენებში. ბიძინა გორგაძე გახლდათ თავის ქვეყნის დიდებული მოქალაქე, ჭეშმარიტი გულშემატკივარი და მოამაგე თბილის ქალაქისა.

ბატონმა ბიძინა გორგაძემ უშუალოდ და უპრეტენზიოდ უმღერა თავის შემოქმედებით მშობლიურ ქვეყანას. მან ლამაზად დაასრულა თავისი ფიზიკური სიცოცხლე.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო, საქართველოს მხატვართა კავშირი.

ნიკო ბუზალაძე

ომმა ყველაფერს შეგვაჩვია, შეგვაჩვია სიკვდილსაც, ჩვენი თაობის ბიჭების სიკვდილს. ვერ ვიფიქრებდით, თუ კიდევ რამე შეგვძრავდა, გაგვაკვირვებდა...

შენმა სიკვდილმა გაგვაკვირვა, ნიკუშა, არ გვეგონა, თუ ასე წამიერად დამარცხდებოდა ამოდენა სიყვარული, სიკეთე, ხალისი.

შენ მართლაც სხვა იყავი... 80-იანი წლების თბილისის სტუდენტობას ვერავინ გაიხსენებს ისე, შენ თუ არ მოგიგონა, შენ ხომ სტუდენტობის სული და გული იყავი. ცხოვრობდი უნივერსიტეტის სიყვარულით. ყველგან უამრავი მეგობარი გყავდა: სამხატვრო აკადემიაში, პოლიტექნიკურში (მაშინ ასე ერქვა), სამედიცინოში... შენი ხითხითი და იუმორით ყველას ხიბლავდი და იზიდავდი.

თბილისის ქუჩები გიყვარდა და შენ თვითონ ქმნიდი თბილისურ კოლორიტს.

ისე წახვედი, არავინ დაგვიტოვე შენს ფეხზე, მოხაფერებლად და სანუგეშოდ, მხოლოდ შენი მშობლები და სახელი დაგვრჩა — ნიკუშა ბუზალაძე.

მეგობრები.

სუსხიანი სტრიქონები

ჟეტონური ციებ-ცხელება

ანუ ვინ რჩება მოგებული, როცა ხაზინა აგებს?

ზაურ მაკარაძე

თბილისის მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობამ იაფ, საიმედო, ქართულ, პლასტმასის ჟეტონებს, ძვირფასი, ნაკლებად საიმედო, რუსული, ლითონის ჟეტონები ამჯობინა.

როგორ მოვიქცეთ მაშინ, როცა ჩვენში ბევრ ჩინოვნიკს (ვისაც ქვეყნის ბედზე ზრუნვა მოეთხოვება), მათ შორის, ტრანსპორტის სამინისტროსა და თბილისის მეტროპოლიტენის მესვეურებს თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მხოლოდ ფასების ლიბერალიზაცია და, კიდევ, დღედაღამ იმაზე წუწუნი ჰგონიათ, რომ ხელფეხშეკრული არიან, რადგან რუსეთი არაფერს აძლევთ, რკინიგზა ბანდების ხელშია, საკუთარი კი არაფერი გააჩნიათ? კეთილი, ბატონებო, მაგრამ რა დავარქვათ იმას, როცა ბევრი პრობლემის მოგვარება ადგილზე, საკუთარი ძალებით, სხვის დაუხმარებლად შეიძლება, ამ დროს, გაცილებით იაფად და სწრაფად, თქვენ კი მაინც რუსეთისაკენ გიჭირავთ თვალი, კვლავ „ზემოდან“ ელით მოწყალებას? ნუ მეტყვით, ახლა ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, თორემ მაშინვე მოგიგებთ: ჩვეულებაც არის და ჩვეულებაც. თანაც, ისიც უთქვამს ჩვენს წინაპარს, ამღვრეულ წყალში ადვილია თევზის დაჭერაო...

მკითხველს მოეხსენება, რომ ცხოვრების გაძვირებასთან დაკავშირებით ხუთკაპიკიანების „მოდიდან გადავარდნამ“ მეტროთი მგზავრობის ტარიფის გაზრდა გამოიწვია, ამან კი, თავის მხრივ, საჟეტონო სისტემაზე გადასვლის აუცილებლობა.

თავდაპირველად ყველაფერი თითქოს თავისუფალი ბაზრისა და სახელმწიფოს ინტერესების კარნახით გაკეთდა: უნდა მოვიგოთ მეც, შენც, და არც ქვეყანა დავაზარალოთ. წლეულს, 20 იანვარს თბილისის მეტროპოლიტენის ინიციატივით დაიდო ხელშეკრულება საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი საწარმოს ფილიალთან ავტომატიზაციის კვლევით და საინჟინრო ცენტრ „არის — ანგსტრემთან“, რომლის თანახმადაც „არის — ანგსტრემს“ უნდა შეემუშავებინა და დაენერგა თბილისის მეტროპოლიტენის მგზავრობის ღირებულების გადახდის ახალი საჟეტონო სისტემა.

სამუშაო ხუთ ეტაპად უნდა შესრულებულიყო. პირველ ეტაპზე „არის — ანგსტრემი“ კისრულობდა ხუთი ავტომატიზებული გამშვები პუნქტის გადაკეთებასა და საცდელი ჟეტონის დამზადებას. ამ ეტაპის სახელშეკრულებო ღირებულება 320 ათასი მანეთი იყო, რომლის ნაწილი — 25 პროცენტი მიმდინარე წლის მარტში ავანსად გადაიხადა კიდეც მეტროპოლიტენმა.

მეორე ეტაპზე (1992 წლის მეორე კვარტალი) გათვალისწინებული იყო 200 ცალი მიმღები მოწყობილობის დამზადება და დანერგვა. მესამე ეტაპზე ამავე კვარტალში უნდა დამზადებულიყო ორი მილიონი ჟეტონი, მეოთხეზე (მესამე კვარტალი) — ოთხი მილიონი, მეხუთეზე (მეოთხე კვარტალი) — კვლავ ოთხი მილიონი. ამრიგად, მეტროპოლიტენს ბოლომდე რომ დაეცვა „თამაშის წესები“, ახლა მინიმუმ ოთხი-ხუთი მილიონი ჟეტონი ექნებოდა ჯიბეში. მართალია, ეს ჟეტონები პლასტმასისა იქნებოდა, „ოქროს“ ბრჭყვიალობას ვერ დაიკვეხნიდა, სამაგიეროდ, „გარღვეული“ ბიუჯეტის ათობით მილიონ მანეთს დაზოგავდა და უფრო საიმედოც იქნებოდა.

დრო არ ითმენდა. სამუშაო მეტად საშური იყო. ამიტომ რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, ენერგეტიკული კრიზისის მიუხედავად, უწყვეტად იღებდა ელექტროენერგიას სსგ „ელვას“ საცდელ-ექსპერიმენტული ქარხნის ის უბნები, სადაც თბილისის მეტროპოლიტენისათვის ახალი საჟეტონო სისტემის საცდელი ნიმუშების შექმნის სამუშაოები წარმოებდა.

პირველი ეტაპის სამუშაოები ვადაზე ადრე შესრულდა. „არის-ანგსტრემმა“ 1992 წლის 23 მარტს შეატყობინა კიდეც მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობას ეს და მოთხოვა კომისიის გამოყოფა საუწყებათაშორისო გამოცდის ჩასატარებლად. უკვე 26 მარტს „არის-ანგსტრემმა“ მიიღო 24 მარტით დათარიღებული მეტროპოლიტენის მთავარი ინჟინრის ჯ. ჯინჯიხაძის წერილი, სადაც ის იტყობინებოდა საუწყებათაშორისო კომისიის წევრთა შემადგენლობას, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ხსენებული გამოცდების ჩატარების პროცესში მეტროპოლიტენის მხრიდან. მაგრამ „კეისარი“ სხვანაირად ფიქრობდა. საქმე ის არის, რომ, ყველას გასაოცრად, იმავე დღეს, 26 მარტს (!) „არის-ანგსტრემი“ იღებს იმავე ჯინჯიხაძის 18 მარტით (!) დათარიღებულ წერილს, რომელშიც აცხადებს: შეწყვიტეთ ყოველგვარი სამუშაოები თქვენც და საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატმაც“ იმის გამო, რომ მოსკოვის ზარაფხანიდან („მონეტნი დვორ“) ლითონის ჟეტონის დამზადების თანხმობა მივიღეთო...

მერე რა, ჟეტონი ჟეტონიაო, იტყვის მკითხველი, მაგრამ მთლად ასე არ არის. თბილისელი გამომგონებლების პლასტმასის ჟეტონს მეტად დიდი შეფასება მისცა იმ კომისიამ, რომელმაც ივლისის დასაწყისში, მოაწყო გამოცდა: „არის-ანგსტრემმა“ შემოგვთავაზა ავტომატური საკონტროლო პუნქტის მართვის სისტემა, რომელიც პრინციპულად გამოირჩევა მაღალი მდგრადობით, ვინაიდან მისი მუშაობის სიზუსტე ჟეტონების გამოცნობისა არ არის დამოკიდებული ელექტრომომარაგების ქსელის პარამეტრების რხევებსა და სხვა გადახრებზე. ეს სისტემა ემყარება გამოსახულებათა ამოცნობის პრინციპს, კერძოდ, ეტალონთან შედარების იდეას... ეტალონის არსებობა მოწყობილობაში საშუალებას იძლევა მინიმუმამდე შემცირდეს „ყალბი“ ჟეტონების გამოყენების შესაძლებლობა, რადგან დამუშავებულ სქემაში გამოყენებული მაგნიტური ველის გადამწოდი (შექმნილია ასევე „არის-ანგსტრემის“ მიერ) რეაგირებს მხოლოდ იმ ჟეტონზე, რომლის ეტალონიც მოთავსებულია სისტემაში“, — ვკითხულობთ სპეციალისტთა დასკვნაში. ჟეტონი დამზადებულია შემავსებელი კომპონენტების გამოყენებით, რაც აგრეთვე ამცირებს არასტანდარტული ჟეტონების გამოყენების შესაძლებლობას; „გაერთიანება“ ელექტროაპარატის“ მთავარი ინჟინრის, ტექნოლოგიური სამსახურებისა და სხვა სპეციალისტთა აზრით, ჟეტონების სერიული წარმოების შემთხვევაში არსებობს მექანიკური პარამეტრების გაუმჯობესების დიდი რეზერვები, რომელთა გამოყენება ძნელი არ არის, ხოლო პლასტმასის (ლითონური მინარევებით) ჟეტონის მექანიკური მახასიათებლები ჭარბობს, ამჟამად მოქმედი ჟეტონებისას“.

ასეა, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს. სესხად ჩამოტანილმა მოსკოვურმა ჟეტონებმა მალე დაკარგა ჩვეული ბრჭყვიალება, დიდი ნაწილი თბილისსა და სხვა ქალაქებში მეტროთი მგზავრობის ფასთა სხვაობის გამო გაიზიდა რესპუბლიკიდან. აგვისტოში მოსკოვური მარკის ახალი „ოქროს ჟეტონები“ მივიღეთ, რომელთა დამზადებამ ათი მილიონი მანეთი დაჯდა, ამას თუ დაუმატებთ ტრანსპორტის, საბაჟოს და სხვა ხარჯებს, თბილისის მეტროპოლიტენში გამოყენებულ დღევანდელ ჟეტონებს, მართლაც, ოქროს ფასი დაედება.

— ვისი, მიზეზით დაირღვა თქვენსა და „არის-ანგსტრემს“ შორის დადებული ხელშეკრულება? — ვეკითხები მეტროპოლიტენის მთავარ ინჟინერს ბატონ ჯონდო ჯინჯიხაძეს.

— მე დავიწყე ეგ საქმე, მაგრამ მერე რაღაც მოხდა. ჩამოვშორდი... არაფერში აღარ ვერევი, — მიპასუხებს იგი.

— მაინც, რა მოხდა?

— არ ვიცი, მაგრამ ხელშეკრულება, მგონი, ჩვენი მიზეზით დაირღვა.

— სულ რამდენი ჟეტონი ჩამოიტანეთ მოსკოვიდან?

— 2,5 მილიონი...

— რამდენი გვჭირდება?

— ოთხი მილიონი...

— „არის-ანგსტრემის“ ჟეტონების უპირატესობას აღიარებთ?

— რა თქმა უნდა.

— ეგრეთ წოდებული ნასესხები ჟეტონები დააბრუნეთ?

— ჯერ არა.

2,5 მილიონი ცალი გვქონდა შემოტანილი, ახლა სულ 1,3 მილიონი შეგროვდა. დანარჩენი დაიკარგა...

როგორც ბატონმა ჯონდომ გვითხრა, პლასტმასის ჟეტონის დამზადება „იმ ფასებით“ 20 კაპიკი დაჯდებოდა, „ამ ფასებით“ კი 40-50 კაპიკი. მარტივი გამოთვლების შემდეგ ადვილად დარწმუნდებით, თუ რამოდენა ზარალი განიცადა რესპუბლიკამ.

სპეციალისტთა დასკვნით, პლასტმასის ჟეტონების გამოყენება შეიძლება არა მარტო მეტროპოლიტენებში, არამედ ფულის მიმოქცევის სხვა უბნებზე — საკრედიტო ბარათები, სათამაშო ატრაქციონები, საბაგირო გზები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და ა. შ. ამასვე ამბობს მოსკოვის მეტროპოლიტენის უფროსის პირველი მოადგილე ვლადიმერ გრომოვი „არის-ანგსტრემის“ დირექტორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, დამსახურებული გამომგონებლის კიმი კახელიძის სახელზე გამოგზავნილ წერილში.

— რა ბედი ელის თქვენს ჟეტონებს? — ვკითხეთ ბატონ კიმის.

— ამჟამად, ყველა სამუშაო შეჩერებულია. მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრომ უკვე გაგზავნა რესპუბლიკის მთავრობაში თავისი დასკვნა. ახლა ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებას ველოდებით. ფინანსთა სამინისტრო თანახმაა, რომ დაინერგონ ჩვენი გამოგონება. ტრანსპორტი... უარზეა. — ფული გაბუნიასია და ვისაც უნდა, იმას მისცემსო... ფული გაბუნიასი, კი არა, სახელმწიფოსია, — აი, ჩვენი პასუხი.

ამრიგად, მოსკოვის ზარაფხანაში დამზადებული ჟეტონებით იზარალა „არის-ანგსტრემმა“, გაჩერების პირას მისულმა „ელექტროაპარატმა“, საბოლოო ჯამში კი სახელმწიფომ. პლასტმასის ჟეტონის „ცოდვა“ ხომ მხოლოდ ის იყო, რომ ხაზინას კი არ გაძარცვავდა, შეავსებდა... ბოლოს და ბოლოს, ვიღამ მოიგო ამ „საიდუმლო გარიგებით?“ — ამ კითხვაზე, რომელიც ორიოდ თვის წინათ გაზეთ „საქმიან კვირაშიც“ დაისვა, ჯერჯერობით პასუხი არა ჩანს.

„ელექტროაპარატში“ უკვე მომზადებული იყო ერთი უბანი ავტომატური გამშვები პუნქტებისა და პლასტმასის ჟეტონების სერიული წარმოებისათვის. ნედლეული არ იყო საძებარი ცხრა მთას გადაღმა და კვალიფიციური სპეციალისტი... მაშ, რას ვერ მოაბეს თავი? რამ შეუშალათ ხელი?

ძნელია, როცა სხვისი ბამბა ოქროსავით ჩხრიალებს... ძნელია და სამწუხარო!

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

VI

ინდექსი 66434